გუშინდელი შეხვედრა დასრულდა იმით, რომ სამინისტრო და სააღსრულებლო ბიურო "სახლებში" დაბრუნდნენ. აღმოჩნდა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ აბრეშუმის ფაბრიკაში გაჩენილმა ხანძარმა, პრაქტიკულად, უსახლკარო დატოვა. **"ნამობრძანდით და ნახეთ, სად ცხოვრობთ. ზოგიერთი საერთოდ უსახლკაროდ დარჩა. ქალაქის მერია აპეროხულ დაგვირდა, - დავგვხმარებითო, - თუმცა, ტრადიციულად, მოგვატყუა. ახლა კერძო კომპანია მოვიდა, შემოგვთავაზა წინადადება და იმასაც აჩერებენ? რატომ? ჩვენ რა გვქნა, ვინმეს აღდევებს ჩვენი ბედი ამ ქვეყანაზე?"** - აცხადებს კოსტავას პირველი შესახვევის ერთ-

ჩვენი ინფორმაციით, ის დღეს რაიონში მიემგზავრება, სადაც, დაახლოებით, 20 უკანონო მშენებლობის დახურვას დაეცნება. **"კონკრეტულ ინფორმაციას ობიექტების შეპატრონეების ან მათი მიზნობრიობის შესახებ ჯერ ვერ მოგვცემთ. უნდა ჩავიდე და თავად დავრწმუნდე, რომ იგივე არ განმეადრეს, ებ გადაწყვეტილება არ გამოუტანია. საბოლოო შედეგი საქმის არსებით განხილვამდე გადაიდო. მხარე წარმოადგენს ყველა შესაბამის დოკუმენტაციას სასამართლოში, და თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ამხანაგობას არაფერი დანებდება, შემგებლობა ჩვეულებრივ გაგრძელდება"**, - ამბობს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ზურაბ აბაშიძე.

რაც შეეხება მინისტრ სულუხიას,

კრილიკაზი

ოთხი ოჯახი და ერთი სოფლის ცხოვრება

მცხეთის სალობის რომ ცდაცდები, მარცხნივ ერთი უახლოესი გზა ადის და, თუ სოფელ კარსანში გინდა მოხდე, სწორედ ამ გზას უნდა აუყევ. მიხვეულ-მოხვეულ გზაზე მანამდე ივლი, სანამ ჯერის მონასტრის ზევიდან არ დაუწყებ ყურებას, მერე კი ნელ-ნელა სოფლის შენობებიც გამოჩნდება. ადრე მთელი კარსანი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ეკუთვნოდა - სოფლის დასაქვებიც ავტორი ფუნდამენტურად ნატები ორი შენობის ნანგრევი რომ ჩანს ისიც, და თავად სოფლის ფირფიც კოტეჯებიც. ავტორის შენობაში ტუბ-დისპანსერი იყო, ფირფიც კოტეჯებიც კი ამ დისპანსერში მომუშავე ადამიანები ცხოვრობდნენ.

ნიკო ცინცაძე

"ამ დისპანსერის ისეთი მომარაგება ჰქონდა, რომ ნარჩენებს ხევში ყრიდნენ. ადრე ასეთი საავადმყოფოებიდან სახლში რამის წაღება არ შეიძლებოდა, მერე ეს პროდუქტი რესტორნებში რომ არ მოხვედრილიყო. იმხელა ვითარება გაჩნდა, რომ თოფებითა ვხოცავდით. ახლა ის დისპანსერი სრულიად განადგურებულია. რაღაც პერიოდი რო აიძალა-დაიშალა ყველაფერი, დისპანსერის არა-აქაური მაცხოვრებლები შემოიჩნენ - რუსები, კარგი მომუშავე ხალხი, შემდგომში, კალატოზები, მარა გალოთებულები. ვინ საიდან იყო ვერ გაიგებდი, თან მუშაობდნენ აქ, თან, ვითომ, მკურნალობდნენ. ისინი მერე აქ დაიხიცივნენ. რო დაგვესაფლავებინა, კარადება წვლიდით... ჯანმრთე-

ლობის სამინისტროს, ეტყობა, ადრე ჰქონდა მაგის ფული, უპატრონო მიცვალებულისათვის უკუბ რომ გაეკეთებინა... აქ არიან, აქ ასახლავიან, ერთი - ათი, თხუთმეტი, მაგრამ ეს საფლავები ნელ-ნელა იკარგება", - ეს და კიდევ ბევრი სხვა ამბავი ბატონმა უშანგი ქიქოძემ მოგვიყვა. ის, უკვე ექვსი წელია, მუდმივად კარსანში ცხოვრობს და ქალაქში ჩასვლას იშვიათად თუ ახერხებს: **"ადრე კავშირგაბმულობის სამინისტროში ვმუშაობდი, ცვლითი სამსახურში მქონდა, სამ დღეში ერთხელ ვმოივლიდდი, საქონელი, დიდი ხანია, გყავდა და იმ სამ დღესაც სულ აქ ამოვდიდდი ხოლმე. რაღა მოკრატია ატრიალდა, ჩემი წახალაერიც გაკოტრდა. უკვე შექცევს ნაწილი, ასე შეგვულებდა ვარ გაგვებულები და სულ აქა ვარ. აი, თბილისში რაღაცნაირად ვერც ჩავდივარ ხოლმე"**.

აპრილში კარსანი ისეთი ღამაზია, კაცს სუნთქვა შეეცეკვრება. ქიქოძეების



უშანგი ქიქოძე ქალაქში ჩამოსვლას იშვიათად ახერხებს.

კარ-მიდამოში სამი სახლი დგას. ერთი ბატონი უშანგის პაპის ძმისშვილს ეკუთვნის. ის ახლა მოსკოვში ცხოვრობს. აი, ასი წლის ფიცრის, თავის დროზე ალიხონი ნალკის ქოხი ბატონი უშანგის პირადი საკუთრებაა, თუმცა ახლა იქ არ ცხოვრობს, იქ წითელ ღვინოსა და ხისგან ნაკეთებ ძველ სამეურნეო იარაღს ინახავს; არაყსაც თავად ხდის; წელს ბევრი არ გამოუვიდა - სულ 16 ლიტრი, 48-50-გრადუსიანი. **"ნახამთრევი ჭაჭა კარგი გამოდისო, მაგრამ ბატონულა კარგი გამოვიდა, ПОБОЧНЫХ ЯВЛЕНИЙ НЕТ"**, - ამბობს ბატონი ომარი, თავისივე დაყენებული, სუფთა წითელი ღვინო კი თავს ატკიებს.

მინამი ნაპოვნი საქონლის ძელებიც გან ბატონი უშანგი სხვადასხვა ფორმის თმის სარქვესა და დანის ტარებს ამზადებს; ზოსტანს უღვას; ბევრ რამეს თესავს - კაცმა რომ თქვას, ყველაფერი მოდის, მაგრამ ცოტა ქარიანი ადამიანა და მაღალ კულტურებს უჭირსო, - გვითხრა. ნიორი ამას წინათ დაუთესავს, გიორგობამდე ვერ მოასწრო. გოგრა კი, თურმე, ადღგომამდე უნდა დათესოს კაცმა, ან - ადღგომის სწორს.

ახლოობლები ქიქოძეების ამოყვანული ყველი ძალიან განთქმული ყოფილა, მაგრამ ბატონ უშანგს ახლა საქონელი აღარ ჰყავს, - თავი მოიბებზრესო. ამჯერად მის მეურნეობას ორი იხვი შე-

ადგენს. კიდევ ორი ძალინ ჰყავს და ერთიც - კატა, რომელმაც სულ მალე კნუტები უნდა მოიგოს. ოღონდ ლოგინში წუ დამიყრის და რაც უნდა ის უქნიაო, - ამბობს ბატონი უშანგი. აი, შამილის, თურმე, კატამ კალთაში ჩაუყარა კნუტები. შამილისა არ ვიცი, მაგრამ ბატონი უშანგის კატა მაგარი მონადირე ყოფილა - გველებსაც მაგრა ერევა და ვირობებსაც. **"ერთ დღეს ვხედავ, გაუნძრევლად ზის და ერთ ადგილს უყურებს - თურმე კვედელზე ღამურა მიმჯდარა, ეტყობა, გასასვლელს ვერ მიაღწიო, კარები გაუღე რო გასულიყო, მაგრამ თათით პაერში დაიჭირა"**, - ემაყოფილა ბატონი.

შუქი კარსანში საერთოდ არ მოდის არც დღისით და არც ღამით - ხაზებია მოპარული. **"ერთი პერიოდი ეს ამაიკვახმალურად კიდევ, იმიტომ, რომ სპეცდელიანობა მოჰყვა, - გვიამბობს ბატონი უშანგი, - სამი თუ ოთხი ადამიანი იპარავდა ხაზს, ჩაერთო ერთი ახალგაზრდა ბიჭი. ამპერაჟი ძალიან დიდი იყო და მოკლა. მერე ჭირისუფალი მიუყარდა სადგურში მომუშავეებს, - დენი ჩართული რატომ ეკონდაო, - და ცემა-ტყეპით კინალა დახოცეს სანყლები. ვიგერობდით ხოლმე ამ ხაზების მომპარავებს, ხან - როგორ, ხან - როგორ; ზოგჯერ თოფსაც ვიღებდით ხოლმე, მაგრამ მაშინ შეი-**

ძლება ისეთ ნაცნობს წაწყდომოდი, რომელსაც შვილი ავად ჰყავს. მავერულს იმიტომ იპარავს, რომ მერე გაყიდოს და წამალს უყიდოს... აქა ვართ სულ ოთხი ოჯახი. მათიამეილების ოჯახია, ნიკლაურების, ჩვენ - ქიქოძეები, ამ საავადმყოფოს შემორჩა ერთი პეტრიაშვილების ოჯახი და ძეგვის ბავშვთა სახლის განაყოფიც აქაა. მათიამეილები და ნიკლაურები აქ ჩახერგილიდან გადმოვიდნენ. იქ ადრე მინურებში ცხოვრობდნენ. მათ აქ დაზარდეს შვილები, შვილიშვილები. ადრე მუხათგვერდში იყო შვიდწლიანი სკოლა. ფეხით ახალგაზრდა ბიჭისათვის იქ სიარული ძნელი არ იქნებოდა; უანაწილობაში და ქარბუქში პატიობდნენ, ალბათ. მათიამეილების დედამ ევამ მომიყვა, - ჩვენ რომ ჩახერგულში ცვხოვრობდით, შვიდი თუ რვა დედამიშვილი ვიყავით. მინურში ცვხოვრობდით. ერთხელ პატარები გარეთ დაგვრდიდით და აეროპლანმა გადმოიფრინა, შოდა, დედაჩვენი ყვირილით გამოვარდა, - არქო, გველმაშაი, გველმაშაი! კალთა გადაგვავარდა და მინურში შეგვრეკაო. ევას დედაც მასსოვს - მარიამი; შავებში ჩაცმული, ჩიხტიკოპიანი, მკაცრი ქალი იყო".

ასე, წარსულის მოგონებებში გადის დრო კარსანში.

ორი სიტყვით

თბილისი. "შენაგეთა" მომარაბამ მეტროსადგურ რუსთაველთან აქცია "საქართველო მწვანე დედამიწისათვის" მოწყო, რომელიც დედამიწის დღეს მიეძღვნა. აქციაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საქართველოში არსებული ეკოლოგიური პრობლემებისადმი თავიანთი დამოკიდებულება უზარმაზარ პანოზე გამოხატეს. მონაწილეებმა დააფიქსირეს საკუთარი აზრი, ნამოჭრეს სხვადასხვა პრობლემა და დასახეს მათი გადაჭრის გზები. დედამიწის დღე მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნება. **ინტერ-პრესი**

თბილისი. სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი ჰერმანე საქართველოს წმინდა ადგილების დათვალიერებას დღეს შეენახავს წმიდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის მონაწილეობით დასრულებულ, დღესკვე მიტროპოლიტი ამერიკელ პუანტიტარული ორგანიზაცია IQCC-ს და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს ეწვევა. მონაწილე-ახალგაზრდების სასახლეში უცხოელი მღვდელმთავრისთვის ბავშვთა თეოთემომქმედების კონცერტი გაიმართება. რასაც სპეციალური პრესკონფერენცია მოჰყვება. უნტარესი ჰერმანე საქართველოში 16 აპრილს ჩაშვდება. **ინტერ-პრესი**

თბილისი. დიდი დღის დასახლების მცხოვრებთათვის, სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, თბილისის საკრებულოში ტროლეიბუსის ხაზის შეჩერებული მშენებლობის განახლება იგეგმება. საკრებულოს საქალაქო მუერნობის კომისიის მიერ მომზადებული პროექტის თანახმად, მოხდება ტროლეიბუსის ხაზის გადატანა თავდადებული ქუჩაზე, IV და III მიკრორაიონების გაყვლით და მგზავრთა მეტრო ანგმეტლამდე მიყვანით. **ინტერ-პრესი**

თბილისი. ბიბლიოთეკის კვირეულთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში პიბრიდული ბიბლიოთეკისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა. ფორუმზე განიხილეს ინფორმაციისა და ბიბლიოთეკის როლი საზოგადოების განვითარებაში. როგორც მონაწილე სტუდენტებმა აღნიშნეს, პიბრიდული ბიბლიოთეკის წყალობით, ისინი ეცნობიან მედიცინის თანამედროვე მიღწევებს. მათ საშუალება აქვთ, ეიზუ-ალურად იხილონ უმაღლესი დონის კლინიკებში ჩატარებული ოპერაციებიც. **ინტერ-პრესი**

ქუთაისი. ქუთაისში დედამიწის დღესთან დაკავშირებით, ქუთაისის მერიისა და ეკოლოგიურ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით, ხეები დაირგო. ცნობილია ადამიანებმა სტუდენტ-ახალგაზრდობასთან ერთად სხვადასხვა ტერტორიაზე 400 ძირი წიწვოვანი მცენარე და 200 ძირი ნეკერჩხალი დაირგა. დღევანდელ თაისის ერთ-ერთ უბანში, რომელიც, ძირითადად, ებრეული მოსახლეობით არის დასახლებული, მეგობრობის ნიშნად, სკვერი გაიხსნა. **ინტერ-პრესი**

თბილისი. არასამთავრობო ორგანიზაციის "სტუდენტობა NATO-სთვის" ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური კონფერენცია გაიმართა, რომელსაც ნატო-ს წარმომადგენელი რედ ვან დენ აკერი და სხვადასხვა ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკომპლექტებული ნაციონალური სამჭოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სტუმარმა სტუდენტებს ნატო-ში არსებულ პოლიტიკურ გარემოსთან ერთად ის საკითხები გააცნო, რომლებიც ივნიში სტამბოლში დაგეგმილ სამიტზე განიხილება. როგორც ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი გამყრელიძე აცხადებს, ორგანიზაციის მიზანია საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანება, საქართველოს NATO-ს სტანდარტებზე გადამსვლის პროცესების და ერებს შორის სოლიდარობის ხელშეწყობის პოპულარიზაცია. **ინტერ-პრესი**

თუ შეიძლება, გამოვიტყუოთ შიგნით?

თუ შეიძლება, გამოვიტყუოთ შიგნით?

თუ შეიძლება, გამოვიტყუოთ შიგნით?

თუ შეიძლება, გამოვიტყუოთ შიგნით?

ბილობილი

კონცენტრირებისთვის

მეხსიერებისთვის

Билобил

капсулы

экстракт гинкго

60 капсул


для улучшения памяти

меморије

განსაკუთრებული

გონიერების გაუმჯობესება

60 კაპსულა



გომრის სტუმარი

ახალი სახე

მკაფიო და პრაგმატული ხედვით

ბაია ჭალაბანიძე

სალომე სამადაშვილი: საკონსტიტუციო სამართლისა და სახელმწიფო მართვის სპეციალისტი. დაიბადა თბილისში, დამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, თსუ იურიდიული ფაკულტეტი. მეორე კურსის შემდეგ კონკურსის საფუძველზე შერჩეული ორ სხვა სტუდენტთან ერთად გაცვლილი სასწავლო პროგრამით გაემგზავრა აშშ-ში. ელემგენის კოლეჯში მისი სპეციალობა პოლიტიკური მეცნიერება იყო. მისი სწავლა ამერიკის კონგრესმა ერთი წლით დააფინანსა. ოთხწლიან ლიბერალურ კოლეჯში სალომემ უპრეცედენტო შეთავაზება მიიღო - სტიპენდია და 4 წლიანი კურსის 2 წელიწადში ჩათვლა; მუშაობდა ვაშინგტონში, მონტერეის საერთაშორისო კვლევით ცენტრში. მისი პროფილი აფხაზეთის პრობლემები და საქართველოდან რუსეთის ჯარის გასვლის შემდეგ მძიმე ეკოლოგიური ვითარების შესწავლა იყო; თედო ჯაფარიძის მიწვევით სალომემ ცოტა ხნით საქართველოს საელჩოში იმუშავა, მაგრამ გადაწყვიტა, რომ განათლება მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო და ბუდაპეშტში გაემგზავრა. იქ ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში დაამთავრა მაგისტრატურა საკონსტიტუციო სამართლის დარგში. შემდეგ ვაშინგტონში დაბრუნდა და სახელმწიფო მართვის მაგისტრის დიპლომიც აიღო. იქვე დაიწყო მუშაობა საკონსულტაციო ფირმაში, სადაც საქართველოსა და ამ რეგიონის სხვა ქვეყნებში სამართლებრივ და ადმინისტრაციული რეფორმების საკითხებზე მუშაობდა. 2002 წლის მაისში ამერიკის საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტიდან (NDI) შემოთავაზებდა მიიღო და ამ ორგანიზაციის თბილისის წარმომადგენლობაში დაიწყო მუშაობა, საიდანაც გარკვეული ხნით, ცენტრალურ აზიაში გაგზავნეს. ცენტრალურ აზიაში ყველაზე დემოკრატიულ, ყირგიზეთის პარლამენტთან მუშაობდა.



სალომე სამადაშვილი.

ჩვენი სტუმარი პარლამენტში „ნაციონალ-დემოკრატების“ სიით გავიდა. ეს წინადადება მან წინა ბურჯანაძისგან მიიღო და დათანხმდა. ძალას ისიც აძლევს, რომ არასდროს ყოფილა ამ ქვეყანაში არსებული სისტემის ნაწილი, შესაბამისად არ იცნობს აქ დამკვიდრებულ პოლიტიკური ბრძოლის წესებს და მიაჩნია, რომ თავისი ახალი მენტალიტეტითა და მიდგომებით, პოლიტიკის ახალ ტალღას შემოიტანს. რა თქმა უნდა, მისნაირ ახალ სახეებთან ერთად.

სალომე უპარტიაო და არსად აპირებს გაწევრიანებას. ამ ეტაპზე ამოცანების ეფექტურად განსახორციელებლად მას პარტიულობა არ სჭირდება. არ ყაყვას საკუთარი ოჯახი, რადგან ყველაფერი ერთად ჯერ ვერ მოასწრო.

- დასუსტებული ქვეყნის პარლამენტში მოხვდით, რომელსაც მძიმე გზა აქვს გასავალი. რა იქნება მთავარი სირთულე?

- არ ვფიქრობ, რომ პარლამენტს ქვეყნის წინაშე მდგარი სირთულეებისგან განსხვავებული პრობლემები ქვეყნა გადასაჭრელი. მთავარი, ალბათ, ეკონომიკის ფეხზე დაყენება, სამუშაო ადგილების შექმნა და სოციალური პრობლემის გაუმჯობესებაა. რა თქმა უნდა, ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საკითხიც არის, მაგრამ ჩვენი თანამოქალაქეებისთვის დღეს ეს არის პრიორიტეტული. ქვეყნისთვის, რომელსაც ძალზე მცირე რესურსები აქვს, ეს დიდ პრობლემას წარმოადგენს. ამიტომ, ამ პარლამენტმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ მცირე რესურსების ეფექტურად გამოყენებაში. ჩვენითვის ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს მიმართ დასაღვლითა და სხვა ქვეყნების დაინტერესება, მათი დახმარების მიზნობრივად გამოყენება, პრიორიტეტული დარგების ამოწვნა და ფეხზე დაყენება.

- წინა ხელისუფლების დროს ერთგვარი გამარჯვება გამოიქვა „პარლამენტი საზოგადოების სარკეა“. როგორ უნდა გახდეს ეს ორგანო მოსახლეობის უმრავლესობის, საშუალო და დაბალი ფენისთვის ღია და მართლაც სახე?

- პირველ რიგში, საჭიროა გავიგოთ ამომრჩეველი. პარტიული სიების ერთ-ერთი მინუსი ის არის, რომ ბევრ ადამიანს, რომელიც პარლამენტში მოვიდა, ხალხი არ იცნობს. ხელი უნდა შევწყოს პარლამენტართა მუშაობას ამომრჩეველთან. ეს არა მხოლოდ მაფორტირებს, სიებით მოსულ პარლამენტარებსაც ეხება. რა თქმა უნდა, პოლიტიკური პარტია დემოკრატიული სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია, მაგრამ კავშირი წარმომადგენელთა და ამომრჩეველთა შორის პარტიული რგოლის გავლით არ უნდა იკარგებოდეს.

- ბევრია ისეთი დავუტყობი, ვინც პრეზიდენტს უყვარს შპარს. ისინიც ბევრი არიან, ვინც ხელისუფლებას ბრძად გაჰყვება?

- კატეგორიულ მსჯელობისგან თავს შევიკავებ, რადგან ბევრს ჯერ არ ვიცნობ. ჩემ თავს კი ნამდვილად არ მივაკუთვნებ იმ ადამიანთა რიცხვს, ვინც ვინმეს სადღე ბრძად გაჰყვება. წინადადების მიღება და ამ შემთხვევაში მუშაობა იმითმ დადასტვინებული, რომ მიმანჩნია, ქვეყანას დღეს აქვს სწორი კუთხით გაწვითარების შანსი. ჯერჯერობით, ვერ ვხედავ ისეთ საკითხებს, სადაც ხელი-სუფლების მიერ გატარებულ კურსს არ დავეთანხმებოდი. დარბმუნებული ვარ,

თუკი ამის საბაზი იქნება, საკუთარ მოსაზრებას ყოველთვის გამოვთქვამ და ვფიქრობ, რომ ასეთი ადამიანები ამ პარლამენტში არიან. შეიძლება, მრავალად არ არიან წარმოდგენილი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, შიში, რომ ეს პარლამენტი სრულიად კონტროლირებადია და ერთ რომელიმე ინტერესს წარმოადგენს - ესაფუძვლია.

პარლამენტში არის მცირე, მაგრამ ოპოზიციური ფრაქცია, რომელიც გამოცდილი პოლიტიკოსებით არის დაკომპლექტებული. მათ კარგად ესმით პოლიტიკური თამაშები და ვფიქრობ, მცირერიცხოვანობის მიუხედავად, მათი მუშაობა ეფექტური იქნება. სახელისუფლებო ფრაქციაშიც არიან ისეთი ადამიანები, ვინც დამოუკიდებელ კურსს გაატარებენ.

- დღეს რამდენად საჭირო იქნება წინა ხელისუფლების პრობლემაში შეძინილი გამოცდილება?

- ვფიქრობ, რომ გარკვეულწილად გამოსადგება. ოპოზიციონერობა ოპოზიციონერობაა, მნიშვნელობა არ აქვს, რა გარემოში ვინცს მოქმედება. „გემაზრჯენებას“ და „მრეწველს“ - ყოველთვის კონსტრუქციულ ოპოზიციად აღვიქვამდი. ოპოზიციამ ყოფნა მათი იდეაფიქსი არ არის, ვფიქრობ, რომ ისინი კონსტრუქციულად არიან განწყობილი. გარდა ამისა, მათ დიდი პოლიტიკური გამოცდილება აქვთ და კონკრეტულად საპარლამენტო მუშაობის გამოცდილება.

- მაგრამ, არის ხალხი, ვისაც წინა ხელისუფლების მიერ შეძინებული პოლიტიკური წესებით არ უტყვობია. სრულიად ახალი განათლებით, ახალი ინფრეგით და მუსხტიტ მოდიან პარლამენტში. რამდენად ეფექტურად მოახერხებს ეს ფენა ახალი პოლიტიკის წარმოებას?

- თუ ჩემნაირ ადამიანებს გულისხმობთ, ვისაც დასავლური განათლება აქვს მიღებული და ამ ქვეყნის სისტემის ნაწილი არასდროს ყოფილან, ვფიქრობ, რომ პარლამენტის მუშაობაში სრულიად ახალი ტალღის შემოტანა შეგვიძლია.

დასავლეთში განათლების მიღება პანაცეა არ არის. ბევრი, ძალზე განათლებული ადამიანი არსებობს, ვისაც საქართველო არასდროს დაუტოვებია. დასავლური გამოცდილება იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რომ იმ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ადამიანს აზროვნების სხვაგვარი სტერეოტიპი აქვს. ხშირად ისმის კრიტიკა, რომ ჩვენ გამოცდილება არ გვაქვს. იქნებ, ასეც არის, მაგრამ მომავლის ხედვა ბევრად უფრო მკაფიო და პრაგმატული შეიძლება გვექონდეს. სწორედ ამით გამოირ-

ჩვეიან ისინი, ვინც განათლება დასავლეთში მიიღო და იმუშავა კიდეც.

- პარტიებთან მუშაობის გამოცდილება გაქვთ. დღეს როგორია პოლიტიკური კულტურის დონე?

- ვფიქრობ, რომ ახალ ხელისუფლებას ამ ქვეყნისთვის სიკეთე ბევრად უფრო გულწრფელად სურს. პოლიტიკური კულტურაც შეიცვალა. ამ პარლამენტში დიდინდია არაიან პოლიტიკური გამოცდილების მქონე ადამიანები და ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ახალ ფრაქციას ხშირად „მოქალაქეთა კავშირს“ ადარებენ. ამ შედარებას ვერ გავიზიარებ. განსხვავება ის არის, რომ ესენი სრულიად სხვა და სწორი მიზნებით არიან მოსული. მათ თავად შეიქმნეს პოლიტიკური მომავალი და სახე. ნომენკლატურადაც გამოსული არ არიან. „მოქალაქეთა კავშირის“ დიდი უმრავლესობა კი სწორედ ნომენკლატურული წარმოშობის იყო.

- რა გარანტიები არსებობს, რომ ახალი სახეები არ შეიცვლებიან, მუდამ ღია და გამჭვირვალე იქნება მათი მოღვაწეობა. რამდენად შეძლებენ ძველი პოლიტიკური ტრადიციების დარღვევასა და ახლის შემოღებას?

- შეიძლება, პარლამენტში მუშაობის გამოცდილების მქონე ბევრია, მაგრამ არიან ისეთებიც, ვისაც ასე თუ ისე გააჩნია პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება. ჩემს კოლეგებს საკმარისად არ ვიცნობ იმისთვის, რომ ვთქვა, სად შეიძლება ამ ადამიანების გამოყენება, მაგრამ უმრავლესობა პროფესიული კრიტერიუმით არის შერჩეული და საპარლამენტო მუშაობისას რაღაც დარგში საკუთარი წვლილის შეტანაც შეუძლიათ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ NDI და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები აპირებენ ასეთ ხალხთან მუშაობას იმისთვის, რომ რაც შეიძლება მაღელ სრულფასოვნად ჩართონ პარლამენტის მუშაობაში.

- რაიმე ფორმით მიიღებთ მონაწილეობას?

- დიახ, რადგან პარლამენტის თეორეტურტუტურიზაციათან, საპარლამენტო კულტურის ამაღლებასთან დაკავშირებით სერიოზული გეგმები გვაქვს.

- თანდათან აბაშიძის პრობლემა არა საკონსტიტუციო, არამედ კრიმინალურ პრობლემად იწითლება. რას იტყვის ამის შესახებ საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტი?

- ეს, პირველ რიგში, სწორედ იურიდიული პრობლემაა. ამ ქვეყანაში ერთი სამართლებრივი სივრცე ვრცელდება. ამ ქვეყნის შემადგენელი ერთ-ერთი რეგიონის მმართველი კი უარს აცხადებს ამ კანონის დამორჩილებაზე. ჩემი ბეზი, ეს ადამიანი არღვევს კანონს და შერსაბამისად, მას პასუხი უნდა მოეთხოვოს. რა თქმა უნდა, ეს თემა პოლიტიკებულია, მაგრამ მიდგომა, რომ საკითხის დარგეულობა იურიდიული მექანიზმებით მოხდეს, სწორია.

ჩემი აზრით, ასლან აბაშიძე, პირველ რიგში, კანონდამრღვევია. ის წლებები არ არის და ამ მიმართულებით საშიშროა კონკრეტული გეგმა გავაწინა.

მორიცხავზე, უარს აცხადებს, დაემორჩილოს ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალს, არღვევს ადამიანის უფლებებს - ეს კანონდარღვევებია. შეიძლება, ვინმეს თავად არ ურტყას ქუჩაში, მაგრამ ყველაფერი მისი პასიური თანხმობით ხდება.

სწორედ შარშან ზაფხულში სემინარზე ვიყავით აჭარაში, ამერიკელი სტუდენტი გულწრფელად სურს. პოლიტიკური კულტურაც შეიცვალა. ამ პარლამენტში დიდინდია არაიან პოლიტიკური გამოცდილების მქონე ადამიანები და ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ახალ ფრაქციას ხშირად „მოქალაქეთა კავშირს“ ადარებენ. ამ შედარებას ვერ გავიზიარებ. განსხვავება ის არის, რომ ესენი სრულიად სხვა და სწორი მიზნებით არიან მოსული. მათ თავად შეიქმნეს პოლიტიკური მომავალი და სახე. ნომენკლატურადაც გამოსული არ არიან. „მოქალაქეთა კავშირის“ დიდი უმრავლესობა კი სწორედ ნომენკლატურული წარმოშობის იყო.

- რა გარანტიები არსებობს, რომ ახალი სახეები არ შეიცვლებიან, მუდამ ღია და გამჭვირვალე იქნება მათი მოღვაწეობა. რამდენად შეძლებენ ძველი პოლიტიკური ტრადიციების დარღვევასა და ახლის შემოღებას?

- შეიძლება, პარლამენტში მუშაობის გამოცდილების მქონე ბევრია, მაგრამ არიან ისეთებიც, ვისაც ასე თუ ისე გააჩნია პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება. ჩემს კოლეგებს საკმარისად არ ვიცნობ იმისთვის, რომ ვთქვა, სად შეიძლება ამ ადამიანების გამოყენება, მაგრამ უმრავლესობა პროფესიული კრიტერიუმით არის შერჩეული და საპარლამენტო მუშაობისას რაღაც დარგში საკუთარი წვლილის შეტანაც შეუძლიათ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ NDI და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები აპირებენ ასეთ ხალხთან მუშაობას იმისთვის, რომ რაც შეიძლება მაღელ სრულფასოვნად ჩართონ პარლამენტის მუშაობაში.

- რაიმე ფორმით მიიღებთ მონაწილეობას?

- დიახ, რადგან პარლამენტის თეორეტურტუტურიზაციათან, საპარლამენტო კულტურის ამაღლებასთან დაკავშირებით სერიოზული გეგმები გვაქვს.

- თანდათან აბაშიძის პრობლემა არა საკონსტიტუციო, არამედ კრიმინალურ პრობლემად იწითლება. რას იტყვის ამის შესახებ საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტი?

- ეს, პირველ რიგში, სწორედ იურიდიული პრობლემაა. ამ ქვეყანაში ერთი სამართლებრივი სივრცე ვრცელდება. ამ ქვეყნის შემადგენელი ერთ-ერთი რეგიონის მმართველი კი უარს აცხადებს ამ კანონის დამორჩილებაზე. ჩემი ბეზი, ეს ადამიანი არღვევს კანონს და შერსაბამისად, მას პასუხი უნდა მოეთხოვოს. რა თქმა უნდა, ეს თემა პოლიტიკებულია, მაგრამ მიდგომა, რომ საკითხის დარგეულობა იურიდიული მექანიზმებით მოხდეს, სწორია.

მინდა დავინახო განწყობა, შედეგების დანახვას კი დრო სჭირდება.

- ამ სექტორში სად ხედავთ საკუთარ თავს?

- ვფიქრობ, რომ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში ვიქნები. ჩემთვის საინტერესოა საერთაშორისო არენაზე ქვეყნის ახლებური წარმოჩენა. დღევანდელ დღემდე საქართველო არ მოიაზრება, როგორც პარტნიორი ქვეყანა. ის მოიაზრება, როგორც ქვეყანა, სადაც ყოველთვის გაურკვეველი პოლიტიკური მოვლენები ხდება, სადაც პერმანენტული კრიზისია და მინდა, რომ ეს ხედავ შეიცვალოს.

სამუშაობოდ, დასავლეთში დამკვიდრებულია აზრი, რომ 14 წლის მანძილზე ჩვენი მთავრობა მოქმედებდა არა როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის ხელისუფლება, რომელსაც აქვს გეგმა, არამედ აღიქმებოდა, როგორც კრიზისიდან კრიზისამდე ლოკალური ამოცანების გადაჭრელი ხელისუფლება. ეს უნდა შეიცვალოს.

- დღეს, ახლა - თქვენ პატარა ქვეყანას საერთაშორისო საზოგადოებისთვის რაითი ვახტვით საინტერესოს?

- ეს მძიმე შეკითხვაა. ყველა ჩემი ევროპელი კოლეგა და მეგობარი ერთა-მა და იმავეს მეკითხება - რა აქვს საქართველოს ევროპისთვის შესაბამისი პოლიტიკა? ეს ლოგიკური კითხვაა და ამ ეტაპზე ცალსახა პასუხის გაცემა გამომჭირდება. ჩვენი იმიჯის შეცვლა საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში ძალზე მნიშვნელოვანია - იქნება ეს ადამიანის უფლებების დაცვა თუ დემოკრატიული პრინციპების გატარება. მაგრამ, ყველაზე მძიმე პრობლემა მაინც ეკონომიკაა. ვფიქრობ, რომ აქტიურად უნდა გამოვიყენოთ სხვათა გამოცდილება - ცენტრალური აზიის ქვეყნების, ირლანდიის, თურქეთის ეკონომიკური მნიშვნელობის გამოცდილება ჩვენითვისაა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მუშაობა. ერთ-ერთი მიმართულება პარტიული საფუძველი ფუნქცია და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული თანხების განკარგებაა. ჩვენი უფლებების განსაზღვრა იქნება.

არსებობს მოსაზრება, რომ პრეზიდენტის მიერ მოწონებული საკონსტიტუციო ცვლილებებით პარლამენტი შესუსტდა. ასეთი მომენტი დათხოვნის უფლებაა. იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანაში ძალზე სწრაფი, მნიშვნელოვანი და, შეიძლება, ტუკიკიეული გადამწყვეტილებების გატარებაა საჭირო, გარკვეული თვალსაზრისით, ესეც აუცილებელია. ვფიქრობ, რომ ეს უფლება გამოუვალი მდგომარეობის განუზღვრის საშუალებაა.

ვფიქრობ, რომ როგორც კონსტიტუცია, ისე რეგლამენტი მთავრობის მუშაობაზე აქტიური ზედამხედველობის გაცევის საშუალებას ნამდვილად გვაძლევს.

- პარლამენტში ყოველთვის არის სეზონი და საპროცედურო თუ სხვა კრიზისი იარაღები იმისთვის, რომ მთავრობის კონტროლი და პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარიყო. ამ მხრივ კანონმდებლობაში რაიმე იცვლება? დაიბრუნება ორპარტიანი შეწყვეტება?

- საქართველოში ყველაფერს კანონმდებლობის აბრლებენ. პრობლემა კი ხშირად კანონის შესრულება და მისი გამოყენებაა. განსახორციელებლად შესანიშნავად იყენებდა რეგლამენტს. ამ პარლამენტს არსებული კანონებით შეუძლია აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობა და კონსტრუქციული თანამშრომლობა. ყველაფერი დამოკიდებულია სურვილზე და ვფიქრობ, რომ ნამდვილად გამომჩნდება დეპუტატთა კრიტიკული მასა, რომელთაც პარლამენტის ამ ფუნქციის მნიშვნელობა ესმით.

პოლიტიკური პარტია დემოკრატიული სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია. მაგრამ კავშირი წარმომადგენელთა და ამომრჩეველთა შორის პარტიული რგოლის გავლით არ უნდა იკარგებოდეს.

შიში, რომ ეს პარლამენტი სრულიად კონტროლირებადია და ერთ ინტერესს წარმოადგენს, უსაფუძვლოა.

ხშირად ისმის კრიტიკა, რომ ჩვენ გამოცდილება არ გვაქვს. იქნებ, ასეც არის, მაგრამ მომავლის ხედვა ბევრად უფრო მკაფიო და პრაგმატული შეიძლება გვექონდეს.

ვნუხვარ, მაგრამ უნდა ვაღიარო - მსოფლიოსთვის შესათავაზებლად ჩვენ დღეს ბევრი რამ არ გავვაჩნია. იმედო მაქვს, ოთხ წელიწადში ეს შეიცვლება.

- ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით, აქვს თუ არა პარლამენტს აღმასრულებლის მუშაობის გასაკონტროლებლად და საჭიროების შემთხვევაში, მათი პასუხისმგებლობის საკითხის დასაყვედრლად საკმარისი უფლებები?

- ამ პარლამენტს მთავრობის დათხოვნის უფლება აქვს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გუნდური პასუხისმგებლობის მომენტი შემოვიდა. პრემიერ-მინისტრი და მისი კაბინეტი ვერაფერ უფრო ანგარიშვალდებულოა, ვიდრე სახელმწიფო მინისტრი და სხვა მინისტრები.

არსებობს მოსაზრება, რომ პრეზიდენტის მიერ მოწონებული საკონსტიტუციო ცვლილებებით პარლამენტი შესუსტდა. ასეთი მომენტი დათხოვნის უფლებაა. იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანაში ძალზე სწრაფი, მნიშვნელოვანი და, შეიძლება, ტუკიკიეული გადამწყვეტილებების გატარებაა საჭირო, გარკვეული თვალსაზრისით, ესეც აუცილებელია. ვფიქრობ, რომ ეს უფლება გამოუვალი მდგომარეობის განუზღვრის საშუალებაა.

ვფიქრობ, რომ როგორც კონსტიტუცია, ისე რეგლამენტი მთავრობის მუშაობაზე აქტიური ზედამხედველობის გაცევის საშუალებას ნამდვილად გვაძლევს.

- პარლამენტში ყოველთვის არის სეზონი და საპროცედურო თუ სხვა კრიზისი იარაღები იმისთვის, რომ მთავრობის კონტროლი და პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარიყო. ამ მხრივ კანონმდებლობაში რაიმე იცვლება? დაიბრუნება ორპარტიანი შეწყვეტება?

- საქართველოში ყველაფერს კანონმდებლობის აბრლებენ. პრობლემა კი ხშირად კანონის შესრულება და მისი გამოყენებაა. განსახორციელებლად შესანიშნავად იყენებდა რეგლამენტს. ამ პარლამენტს არსებული კანონებით შეუძლია აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობა და კონსტრუქციული თანამშრომლობა. ყველაფერი დამოკიდებულია სურვილზე და ვფიქრობ, რომ ნამდვილად გამომჩნდება დეპუტატთა კრიტიკული მასა, რომელთაც პარლამენტის ამ ფუნქციის მნიშვნელობა ესმით.



თეატრები

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

ჯუზეპე ვერდი
რიგოლეტო
ოპერა ოთხ მოქმედებად
დირიჟორი ზაზა კალმახელიძე
დას: 18:00 სთ.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინოსახიობთა თეატრი

რაფიელ ერისთავი
“ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს”
რეჟისორი: გიორგი მარგველაშვილი
დას: 19:00 სთ.

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

პაროლდ პინტერი
“ლაღატი”
რეჟისორი: დავით ანდლულაძე
დას: 13:00; 15:00 სთ

თეატრალური სარდაფი

ალექსანდრე ოსტროვსკი
“ბალზამინოვის ქორწინება”
რეჟისორი: ნ. ლიპარტიანი
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში

რალფ ნიკი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

თავისუფალი თეატრი

პროვოკაცია 2”

რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
დას: 19:00 საათზე

სამეფო უბნის თეატრი

“კარმენი”
მსახიობი - მარიამე ჯანაშია
დას: 19:00 სთ.

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი

მარიო სანტანელი
“დედა-დედოფალი”
კითხულობს: მურმან ჯინორია, სოფიკო ჭიაურელი
დას: 18:00 სთ.

პანტომიმის თეატრი

“დონ ჟუანი”
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ.

კინოთეატრები

კინოს სახლი
ქეთევან გუჯაბიძის ფილმის პრემიერა
დას: 18:00 სთ.

ამირანი

“მონსტრი”
დას: 13:30; 20:00; 22:30 სთ.

“ელფი”

დას: 16:00; 18:00 სთ.

გამოფანა

კოპალა
ნათელა გრიგალაშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა

ძველი გალერეა

დათო ხიდაშელისა და ლაშა კინწურაშვილის ნამუშევრების გამოფენა

სალონი “ხელოვნება”

ხელოვნების ნიმუშებისა და საიუველირო ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა

“ქარვასლა”

ქრისტინე რობაქიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა “ევოლუცია”

“ჰობი”

ახალგაზრდული შემოქმედებითი სტუდიის გამოფენა

ბავშვთა ნახატების გალერეა

ბავშვთა ნამუშევრების სააღდგომო გამოფენა

ლექსიკები და პოეზმოკები

სამხატვრო აკადემია

გერმანელი ფოტოხელოვანი ახიმ რიხერსის ლექცია და ვორქშოპი თემაზე: “ცხოვრების აღქმა - ფოტოგრაფია, როგორც ხელოვნების მედიუმი”
დას: 11:00 სთ

დაგვიტოვო ლონისძიებუბის შესახებ შევიძლიათ მოვაცნოდით ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

23 აპრილს წიგნის დღესთან დაკავშირებით წიგნის სახლი გთავაზობთ სიურპრიზებს. მწერალი ზაალ სამადაშვილი კონსულტაციას გაუწევს მყიდველებს. ყოველი მე-15 მყიდველი დასაჩუქრდება ზაალ სამადაშვილის წიგნით “ბოშები”, ავტორისეული ხელნაწერით.

მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50

გავხვები და ფართა ბამა

გალერეა “ჰობი”

ნათია პადაჭკორია

გალერეა “ჰობი”, ტრადიციულად, ახალ და საინტერესო გამოგონებს მასპინძლობს. გუშინ გალერეის ორივე დარბაზში ხალხმრავლობა სუფევდა. ერთი მათგანი ახალგაზრდა შემოქმედთა სამეცნიერო ცენტრთან არსებულ შემოქმედებით სტუდიას (დირექტორი – გიორგი ლასხიშვილი) მასპინძლობდა. სტუდია, რომელიც 2001 წელს შეიქმნა, ერთ-ერთი წამყვანი და სერიოზული შემოქმედებითი კერის იმიჯს ატარებს; მასში 6-დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, სტუდიის ხელმძღვანელის ღიზა ეპიტაშვილისა და პედაგოგ ანა ჩუბინიძის თაოსნობით, ხელოვნებას სერიოზულად ეუფლებიან. ამ გამოფენაზე სტუდიის თორმეტი მოსწავლის ნამუშევრებია წარმოდგენილი. თუმცა, “წარმოდგენილი” კი არა, “ჰობის” დარბაზში სამდევილი დღესასწაულია - ფერთა გამოთ, მრავალფეროვნებით; მარი პატიაშვილის, ქეთი მელიქიძის, ეკა იძელაშვილის, გიორგი ვარდამაშვილისა და სხვათა ფერწერით, გრაფიკით, ბატიკით, თოჯინებითა და ათასგვარი საინტერესო ნამუშევრებით. საერთოდ, ბავშვების გამოფენას მაინც სხვაგვარი, საზოგადო ელფერი დაპყვას ყოველთვის. მონაწილეები, მათი შობლები, ბებია-ბაბუები, ნათესავები, გულშე-

მანათიოხალი გამოფენა “კოპალაში”

თაონა ჭაფარიძე

ჟალუზეზჩამოშვებულ გალერეა “კოპალდან” უჩვეულო ნათეზა მაინც აღწევს გარეთ. მოდით, შევიხედოთ და გავიგოთ, რა ხდება შიგნით:

ნეონის განათებამ ქუჩიდან საგმოფენო სივრცეში გადაინაცვლა. ქართული სარეკლამო სივრცის პიონერმა სარეკლამო კომპანია “მაგი სტილ”-მა კიდევ ერთი ახალი ნაბიჯი გადადგა და პოსტ საბჭოთა სივრცეში ნეონ არტის გამოფენა პირველმა შემოგვთავაზა. სიახლე ხომ “მაგი სტილის” სტილია.

“კოპალაში” კი უჩვეულო ექსპონატებს შორის უამრავი დამთვალიერებელი ირევა: კომპანიის დიზაინერმა, არქიტექტორმა დავით კეკნაველიძემ ოსტატურად გამოიყენა ნეონის ფერთა გამის სიმრავლე და საინტერესო კომპოზიციები შემოგვთავაზა: როგორც შევიტყვევ, მინის მიღებმა ტექნოლოგიურად რთული პროცედურა გაიარეს: ისინი გაახურეს მაღალ ტემპერატურაზე და დატენეს ელექტრონით, რათა საბოლოოდ სასურველი კონსტრუქციისა და ფორმისათვის მიეღწიათ. ისიც შევიტყვევ, რომ, თურმე ნეონის გაზი, პრაქტიკულად, მხოლოდ ნითელ ფერს იძლევა, ნათების უფრო მეტ ფერს კი სინამდვილეში არგონის გაზი გვაძლევს.

ბიზსონი განმანათილახალი

ერთსულოვნება “ქრისტეს ვნებანის” გარშემო



მელ გიბსონი ყველას აღლევებს

პრეზიდენტი მაღსაზ სონლულაშეილი; საქართველოში კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლობა კი პრესკონფერენციის დასასრულისკენ გამოჩნდა კინოთეატრის ფოიეში.

“ქრისტეს ვნებანი” სახარების ემოციური გადმოცემაა. ჩვენი ეკლესია არ ანიჭებს ამ ფილმს სახარების უცდომეულად გადმოცემის მნიშვნელობას. ჩვენ არ მოვეუწოდებთ მორწმუნეებს მისი აუცილებელი ნახვისკენ, მაგრამ არ ვართ ამ ნამუშევრის, როგორც სახარების საწინააღმდეგო სწავლების წინააღმდეგინი”, - თქვა მამა ზაქარიაჲ. საუბრისას, ძირითადად, ფილმზე გააკეთა აქცენტი ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსმა: “ფილმში შთაბეჭდილია იესო ქრისტეს ადამიანური სახე. ფილმი ფოკუსირებულია მის ტანჯვა-წამებაზე. ეს ნამუშევარი მაცხოვრის შესახებ გადაღებული სხვა ფილმებისგან გამოირჩევა სიღრმითა და აკურატულობით. სასურველია, ამ ფილმის ნახვის შემდეგ ადამიანმა ნაიკითხოს წმინდა წერილი”. აღსანიშნავია, რომ

ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის მრევლმა მელ გიბსონის გახმაურებული ფილმი საქართველოში ერთერთმა პირველებმა ნახეს. ჩვენება ნითელ პარასკევს გაიმართა. თუმცა, როგორც გუშინდელ შეხვედრაზე გაირკვა, “ქრისტეს ვნებანი” ოფიციალური პრემიერამდე მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებსაც ჰქონიათ ნახაზი.

გუშინდელ შეხვედრაზე მოკლედ ისაუბრეს იმ “ბრალდებზეც”, რომელსაც მელ გიბსონს უყენებენ ფილმის მოწინააღმდეგენი. მათ შორის, ერთ-ერთი უპირველესი, როგორც ცნობილია, ფილმის ანტისემიტური განწყობაა. “სახარების კითხვა არასდროს იწვევს ანტისემიტზმს. და საერთოდ, ეს თემა მორწმუნე ქრისტიანისთვის ძალიან ფაქიზია”, - თქვა მამა ზაქარიამ, - ანტისემიტზმი ყოველთვის იყო დასავლური და რუსული პრობლემა”, - დაამატა საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანმა.

როგორც ცნობილია, მელ გიბსონის “ქრისტეს ვნებანი” მაცხოვრის

ციკლიდან “ლიტარატურული შეხვედრები და საღამოები”



იზა ორკონიკიძე და კემალ აჯიაშვილი

ლიტერატურული ჰიპოთეზა, რომ მოეს იბნ ეზრას და რუსთაველს შორის, შესაძლოა, გარკვეული კავშირი არსებობდეს. იგი რუსთაველზე ერთი საუკუნით ადრე მოღვაწეობდა და არსებობს ფრაზათა მსგავსება მათ შემოქმედებაში.

ლის განათებულ ფურცლებს ვერ სცილდება. ნამუშევარს ასე ჰქვია: **Любит не любит...** ამ ნამუშევრის შესახებ კი ავტორი საინტერესო კომენტარს აკეთებს: “ზუსტად ასეთი დამოკიდებულება მაქვს ნეონთანაც. ნეონიც ქალივით არის - თუ ზედმეტად გაახურე, მისგან შეიძლება ველარაფერი მიიღო”.

“მაგი სტილის” არტ-დირექტორი ქალბატონი ირინა კაჭარავა კი შემახსენებს, რომ “მაგი სტილი” თავის სტილს არ ღალატობს და ნეონნადმი ერთხელ კომპანია მომსახურების სერტიფიკატს მიწავს, გამოფენის სახით, რეკლამას უწევს. ასე იყო ერთი წლის წინაც, როცა “მაგი სტილმა” პლაკატის გამოფენა შემოგვთავაზა. წელს კი საგამოფენო სივრცე უკვე ნეონმა დაიკავა და ქუჩიდან პირდაპირ ინტერიერში განთავსდა.

“კოპალაში” 20-მდე მანათობელი ექსპონატია წარმოდგენილი. ღამის თბილისი კი ზაზა კიკნაველიძისა და “მაგი სტილის” შემოქმედებას მშვენივრად იცნობს: ეს კაზინოები და განათებული ცირკის შერნობაა. ბატონი დავითი თვლის, რომ ღამის თბილისში ნეონი ჯერ კიდევ აუთვისებელია. იმედია, თბილისური ინტერიერები “კოპალაში” გამოფენის შემდეგ დიდი სიამოვნებით გაულებენ კარს ამ სასიამოვნო ნათებას.

ამქვეყნად ცხოვრების უკანასკნელი 12 საათის შესახებ მოგვითხრობს. ანუ, ეს არაა ფილმი, რომელმაც, უხეშად რომ ითქვას, შეიძლება სახარების მაგივრობა გაუწიოს თანამედროვე საზოგადოებას. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მაყურებელში, რომლისთვისაც უცნობია წმინდა წერილის შინაარსი, ფილმმა გაუცხოება გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში კი ჩნდება შეკითხვა – რა დამსახურების გამოა, რომ ფილმს “წვანე შუქი” აქვს ანთებული რელიგიური წრეებისგან? პრიციკში, ამ შეკითხვას თავად გასცემს მაყურებელი პასუხს ფილმის ნახვის შემდეგ. სწორედ მაშინ მიხვდება, რამდენად ღირდა გამაჟფრებული ინტერესის ფასად ეს ყველაფერი. ამასობაში კი “ქრისტეს ვნებანმა” კინოს ისტორიაში იშვიათი კომერციული წარმატებებით დაიპკვიდრა ადგილი. კაცმა არ იცის და ვერც ვერავინ იტყვის დაბეჯითებით, გიბსონმა ეს ნამუშევარი, მართლაც, “სულის ძახილის” გამო (როგორც ეს რეჟისორმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა) გადაადიო თუ, უბრალოდ - ისევ და ისევ კარგად გათვლილი კომერციული ტრიუმფისათვის, მაგრამ ფაქტია, რომ ფილმის “ტრიუმფულ სვლას” ისეთი შეხვედრა-სალამოებიც კარგად უწყობს ხელს, როგორიც გუშინ კინოთეატრ “რუსთაველში” გაიმართა. ამასთან დაკავშირებით მამა ზაქარიამ გვიბასუხა: “მე არ ვიცი ეს ხრიკები კომერციული წარმატებებისთვის. დღევანდელ შეხვედრაზე ჩვენი მოსვლის მიზანიც მიზეზიც იყო ხალხის გაეთთცობითურება ამ საკითხთან დაკავშირებით და პასუხის გაცემა იმ შეკითხვებზე, რაც საზოგადოებას ჩვენგან აინტერესებს”. ფართო საზოგადოებას კი საერთაშორისო აუდიტაჟით გამაჟფრებული ინტერესი მელ გიბსონის უკანასკნელი მხატვრული ფილმის მიმართ დღეიდან შეუძლია დაიკმაყოფილოს..

კანის ფესტივალი მოგზადახის უკანასკნელ ფაზაში შედის

პედრო და პატარა ბიჭები; ტარანტინო და მოსაკლავი ბილი; კუსტურიცა და ცხოვრების სასწაული;

მსოფლიო კინემატოგრაფში ადრენალინის მომატების მარმანდელ თარიღებს - 14-25 მაისს წელს დროის ახალი ინტერვალი 12-23 მაისი შეცვლის. კანის 57-ე ფესტივალი სწორედ ამ პერიოდის განმავლობაში დაიკავეს დამსახურებულ პირველ ადგილს პრესის მონივნავ ფურცლებზე.

როგორც რამდენიმე კვირის წინ გახდა ცნობილი, ღონისძიებას პედრო ალმოდოვარის ბოლო ფილმი „ცუდი განათლება“ გახსნის. ექსპერტები იმედოვნებენ, რომ ეს გაცილებით უფრო შესაფერისი ლენტის გაჭრა იქნება, ვიდრე მარმანდელი „ფან ფან ტიტა“ იყო - ჟერარ ფილიპის სუროგატი ვინსენტ პერესისა და ჯონა ლოლობრიჯიდას შმცეველელი პენელოპა კრუსით.

ალმოდოვარმა უკვე გადაიხადა მადლობა ამ პატივისთვის. მისი სურათი ხომ, საერთოდ, პირველი ესპანურენოვანი ფილმია, რომელსაც კანის ფესტივალის გახსნის პატივი ერგო. თუმცა, ალმოდოვარსა და მისი თვალით დანახულ განათლების საკითხებს ოდნავ ქვევით დაუბრუნდეთ და ფილმის შესახებ ცოდნის გაღრმავებაში თვითონ რეჟისორი დაეიხმაროთ - მის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ავტო-ინტერვიუს გადახედოთ და ვნახოთ, რას ფიქრობს ალმოდოვარი კათოლიკური სასულიერო განათლების, მღვდლების და პატარა ბიჭების შესახებ. ანონსად გეტყვით, რომ ცუდ განათლებამიც, კომპოზიტორის რანგში, კვლავ გვევლინება ალბერტო იგლესიასი - „ელაპარაკე მას“-ის შესანიშნავი თანმხლები ალბომის შემქმნელი. ფილმში ვიხილავთ ხავიერ კამარასაც ალმოდოვარის ბოლო ფილმიდან.

ახლა კი იმ ახალ ამბებს გადავხედოთ, რომლებიც კანში 21 აპრილს გამართულ პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი.

განათება: ამ შემთხვევაში გვეულისხმობთ არა კინოდარბაზის ელექტროენერგიით მომარაგებას, არამედ სინთაღეს, რომელსაც კანში ჩასული კინოვარსკვლავები უზრუნველყოფენ. როგორც ფესტივალის დირექტორი აცხადებს: თუ კანის მაიმობრავებელ პირველად ძალად კონკურსს და მის პრაქტიულობას

მოვიაზრებთ, მეორე ადგილზე მაინც აუცილებლად უნდა დავაყენოთ ცნობილი სახეები და მათი ქარიზმა. კანი ბევრი მაღალი რეპუტაციის მქონე მსახიობის შეხვედრის ადგილია და თუ საკითხს ამ კუთხით მივუდგებით, ფესტივალი წელსაც იკამკაშებს.

„განათებაზე“ იმუშავენენ: შარლიზ თერონი და ბრედ პიტი (ფილმი „ტროა“ მისი მონაწილეობით არასაკონკურსო ჩვენებაში შედის), ეშლი ჯადი და სოფი მარსო, კაჟერონ დიასი და პენელოპა კრუსი, ნაომი უოტსი და უმა თურმანი,დაიან კრიუგერი და ბეატრის დალი, ტომ შენკსი და დიი მერფი, მონ პენი და კეეინ კლაინი, ნიკ ნოლტი და ჯეფრი რაში.

მეჩიუ: ისევ კანის ფესტივალის ორგანიზატორებს რომ დავესესხოთ: „გვსურდა, მოგვემზადებინა პირის ჩასატყბარუნებელი, უგემრიელესი მეჩიუ, ორიგინალური საშარეულოს რეცეპტებით, რომლებიც არც ძალიან ტრადიციული იქნებოდა და არც ძალიან პრეტენზიული; შეგვედგინა ფილმების ნუსხა, რომელიც ყველაზე საერთაშორისო იქნებოდა - და თან ყველანაირი ფანრით სავსე. შეგვერჩია ახალი სახეები ახალი თაობიდან (ისე, რომ არ დაგვეჩაგრა ძლიერი ფილმები) და ნამდვილი პერსონაჟები“.

საბოლოო ჯამში, მცდელობამ გაამართლა. საკონკურსო ფილმების სია, მართლაც, ზედმიწევნით საერთაშორისო გამოვიდა. თუმცა, რატომღაც უკანა პლანზე გადაინაცვლა ევროპამ - 18 ფილმიდან მხოლოდ შვიდი გახლავთ ევროპული (საბი ფრანგული და თითო-თითო ბოსნიური, ბრიტანული, იტალიური და გერმანული). სამაგიეროდ, კონკურსში სამი ფილმით შედის ამერიკა: სკანდალური მაიკლ მურის ტრაჟედიად აღებული „ფარენჰეიტი 9/11“; ცნობილი რეჟისორი მქების თიან და ჯეოულ კოენების რიმეიკი *Ladykillers* ტომ შენკსის მონაწილეობით და ენდრიუ ადამსონის, ბავშვებისთვის ასე საყვარელი „შრეკი-2“. რაც შეეხება საკონკურსო პროგრამის ჟიურის თავმჯდომარეს კუენტინ ტარანტინოს, მის ბოლო ფილმს „მოკალი ბილი-2“ მაყურებელი არა-



პედრო ალმოდოვარი კანის ფესტივალს ახალი ფილმით გახსნის

საკონკურსო პროგრამაში იხილავს.

კანის ორგანიზატორებმა კი შეცა: სკანდალური მაიკლ მურის ტრაჟედიად აღებული „ფარენჰეიტი 9/11“; ცნობილი რეჟისორი მქების თიან და ჯეოულ კოენების რიმეიკი *Ladykillers* ტომ შენკსის მონაწილეობით და ენდრიუ ადამსონის, ბავშვებისთვის ასე საყვარელი „შრეკი-2“. რაც შეეხება საკონკურსო პროგრამის ჟიურის თავმჯდომარეს კუენტინ ტარანტინოს, მის ბოლო ფილმს „მოკალი ბილი-2“ მაყურებელი არა-

რომელიც, ალბათ, უფრო ვრცლად, ცალკე წერილის თემაა. თუმცა, სანამ პედრო ალმოდოვარს მივუბრუნდებოდეთ, გაცნობებთ, რომ ოქროს პალმის რტოს პრეტენდენტთა შორის არის ემირ კუსტურიცაც. მას შემდეგ, რაც ბოლოს - 1997 წელს რობერტო ბენინიმ აღმოაჩინა, რომ *La Vita E Bella* - ცხოვრება მშვენიერია, წელს კუსტურიცამ ეს აღმოჩენა განაახლა და სერბო-ხორვატიულად განგვიცხადა: *Zivot je Cudo* - ცხოვრება სასწაულია. ეს კუსტურიცას ბოლო ფილმია 2001 წელს გამოსული *Super 8 Stories* და 1998 წელს შალისა „მაეი კატა, თეთრი კატას“ შემდეგ.

პედრო: ავტოინტერვიო ალმოდოვარის ბოლო ფილმის „ცუდი განათლების“ შესახებ (*La Mala Educacion* - ასე ჰქვია ფილმს ესპანურად) მის შესანიშნავ და რამდენიმეჯერან ვებ-გვერდზე სურათის გამოსვლისთანავე გამოქვეყნდა. ფილმი მოგვითხრობს ორი ამამაკაცის ამბავს, რომელთაგან ერთ-ერთი კინორეჟისორია. ისინი ესპანეთში 1980-იან წლებში, 20-წლიანი განშორების შემდეგ კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს და ისვენებენ დროს, როდესაც 1960-იან წლებში, ფრანკოს რეჟიმის დროს კათოლიკურ სკოლაში სწავლობდნენ. აი, დაახლოებით, რას ფიქრობს პედრო ალმოდოვარი თავისი ბოლო სურთის შესახებ:

„ფილმის სტრუქტურა, მეონი, გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე „ელაპარაკე მას“-ს ჰქონდა. ეს არის ფილმი ფილმში, რომელიც, თითქმის, ერთ საათს გრძელდება. ის სამსხვადასხვა ამბავს მოგვითხრობს. უფრო ზუსტად, აქ არის სამი კონცენტრირებული სამკუთხედი, რომლებიც ერთ ამბად იკერებიან“.

„ამ ფილმს რამდენიმე მთხრობელი ჰყავს. ეს უხილავი პერსონაჟი ყოველთვის მეხმარება ხოლმე, რომ ყველაფერი ავხსნა, რაც ეკრანზე არ ჩანს და სიუჟეტიც გავამძაფრო. ამ შემთხვევაში, სწორედ მთხრობელს გადავყავართ ერთი დამოუკიდებელი ისტორიიდან მეორეზე“.

„როგორც პაკო უმბრალი ამბობს, ყველაფერი ის, რაც ავტობიოგრაფიული არ არის, სპეკულია. ჩემი

ოლო სორენტინო ფილმით *Le Conseguenze dell'Amore*, ფრანგი ტონი გეტლიფი ფილმით *Exils* და 28 წლის გერმანელი ჰანს ვაინგარტენერი ფილმით *Edukators* - ორგანიზატორებისვე განმარტებით, ამ ახალი სახეებიდან ვაინგარტენერს მაინც გამოირჩეული მისია ერგო - მან გერმანული კინო კანის ფესტივალის ყურადღების ცენტრში კვლავაც უნდა დააბრუნოს.

ზედამაირულად ასე გამოიყურება საკონკურსო ფილმების ნუსხა,

რეცენზია

ნახევრად სავსე

ნიკო ნერბაძე

„ეს ხალხი ძველ სიმღერებს მთხოვს, მე კი ჯიუტად ველო ახალს“ - მღერის ირაკლი ჩარკვიანი სიმღერაში „აქ ხარ“. სამწუხაროდ, ახალ ალბომში მისი ძველი დიდების მხოლოდ მკრთალი აჩრდილი მოჩანს.

„საესეს“, ალბათ, ირაკლი ჩარკვიანის ყველაზე სუსტი ალბომია, რომლის ყველაზე დიდი პრობლემა ჩანანწერის საშინელი ხარისხია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ირაკლიმ მუსიკა მთლიანად სახლის კომპიუტერზე ააწყო, თანაც რომელიმე არც თუ ისე კარგი პროგრამის მეშვეობით. დასარტყამი ინსტრუმენტები ტაშტის ხმას გამოსცემს, ბასი თითქმის არ იგრძნობა და კლავიშები რომელიმე საქორნოლო ჯგუფს უფრო შეესაბამება ვიდრე ქართული ალტერნატიული მუსიკის ლეგენდას.

ცუდი ჩანანწერი ალბომის ბევრ კომპოზიციას აფუჭებს. „ნანასი“, „რობოლა“, „ვიცი რომ“ კარგი სიმღერებია და კარგად ჩანწერილი ირაკლ-

ის საუკეთესოთა რიცხვში შევიდოდა. ამათგან განსაკუთრებით კარგია „ნანასი“, რომელსაც ერთ-ერთი ყველაზე კარგი ქართული კლიპიც ახლავს.

ერთადერთი სიმღერა, რომელსაც ჩანანწერის ცუდი ხარისხი ვერაფერს აკლებს „კაჟემირა“. „კაჟემირი“ იწყება მზიარული მელოდიით, რომელიც თავისუფლად შეიძლება და რომელიმე რუსული საბავშვო ფილმის საუნდტრეკი ყოფილიყო, შემდეგ მას მძიმე გიტარები და ირაკლის აგრესიული ხმა ემატება, რომელიც მაიაკოვსკის „პასპორტს“ კითხულობს. ქალაღზე ეს მაინცდამაინც კარგად ვერა დღერს, მაგრამ მოსასმენად მშვენიერია. ამ ინტერპრეტაციით თავად მაიაკოვსკიც კმაყოფილი დარჩებოდა.

„რობოლა“ ჩარკვიანისტური რეჟიტატივია, პროვოკაციული ტექსტით („ჯვარს აცვით ჯვრები“) და შიპ-ჰოპური კლავიშების აკომპანიმენტით, რომელიც დოქტორ დრეს რომელიმე სიმღერასაც დაამშვენებდა. ოღონდ დოქტორ დრე თავის სიმღერაში არ ჩასვამდა დასარტყამ




ინსტრუმენტებს, რომელიც საბავშვო სინთეზატორზე აწყობილს ჰგავს.

საინტერესოდ იწყება „ნაიარეგს“, რომელშიც ირაკლი აზიური მელოდიისა და ელექტრონული რიტმის თანხლებით კითხულობს „ვინ მომიშუშებს ამდენ ნაიარეგს?“ და იქვე თვითონ პასუხობს - დრო. თუმცა, სიმღერა ასე წუთინახევრის შემდეგ მოსაწყენი ხდება, არც მელი-

დია ვითარდება მაინცდამაინც და ირაკლისაც სათქმელი მეტი არაფერი აქვს.

„ნაიარეგს“ პირველი, მაგრამ არა უკანასკნელი სიმღერაა, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ირაკლის სათქმელი ამოეწურა. „ჰეი შავო ზანგო, მომეცი მანგო/ მანგო ჩემია, გემრიელია“ არ არის ჩარკვიანის პოეზიის საუკეთესო მაგალითი, თუმცაღა აიტანდა ერთხ-



ელ კაცი. მაგრამ არა, ირაკლიმ საჭიროდ ჩათვალა იგივე ტექსტი ზანგზე და მანგრზე ორ სიმღერაში გაემოერებინა. უფრო სწორად, ეს ორი კი არა ერთი სიმღერის ორი ვარიანტია, ოღონდ ერთს „მანგო“ ჰქვია, მეორეს კი „ზანგო“. არც ერთი და არც მეორე ალბომს არაფერს მშატებს - არც მუსიკაა კარგი და ტექსტიც უაზროა.

არაფერს მშატებს ალბომს არც

„მაილის“, რომელშიც ირაკლი ჯაზისმაგვარი მუსიკის ფონზე გვეუბნება „უსმინე მაილს დევისს“. ალბომის ბოლო სიმღერა, „საესეს“ უფრო ადგილის შესასვებადაა გამოყენებული, ვიდრე მისი ღირსებებისათვის. თავი მომჭერთი თუ „მაილის“ ან „საესეს“ დანერაში ჩარკვიანს ნახევარ საათზე მეტი დაეხარჯოს. უფრო სავარაუდოა, რომ მან ეს სიმღერები კომპიუტერთან თამაშთამაშით ჩაწერა.

„საესეს“ შეიძლება ძალიან კარგი ალბომი ყოფილიყო. ირაკლის ცოტა მეტი დრო რომ დაეხარჯა არანჟირებაზე და შემდეგ ეს მუსიკა პროფესიონალურად ჩაეწერა და არა ისე, როგორც ახლა, იფაფე და უხარისხოდ, ზალასტი სიმღერების მაგვირავად კი ის კომპოზიციები ჩაესვა, რომელზეც რაღაც ხანი იმუშავა, ხელთ შესანიშნავი ალბომი გვექნებოდა. ასე კი არის „საესეს“ ნახევარი, რომელიც ალბომს აწვავს. არც მეორე ალბომს არაფერს მშატებს - არც მუსიკაა კარგი და ტექსტიც უაზროა.

არაფერს მშატებს ალბომს არც

ით, ასეთი ტიპის მტვერსასრუტი გამოუშვა ფირმა LG-იმ სახელად - **Roboking**, რომლის მუშაობის პრინციპები იგივეა, რაც **Roomba** ერთის განსხვავებით, საქმის დასრულებისთანავე ტრიალდება და თავის ადგილას, სადაც მისი დამტენია იქ ბრუნდება და თავისით იწყებს ხელახალ დატენვას.

ალბათ, ხშირად მოგსვლიათ, სადმე წასულს აგკეიატებიათ - კი მაგრამ უთო? გამოვრთ? სწორედ ამგვარი ეჭვების გასაქარწყლებლად შექმნა **Philips**-მა უთო **Azur 4250** ხმოვანი გაფრთხილებით და ავტომატური გათიშვით. თუ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში 30 სეკუნდზე ან ვერტიკალურად 8 წუთზე მეტ ხანს უმოძრაოდ არის, ხმოვანი გაფრთხილების შემდეგ თავად ითიშება.

Panasonic-მა კი მინიატურული ზომის უნივერსალური აპარატი გამოუშვა, რომელიც აერთიანებს ვიდეო, ფოტოკამერას, აუდიოფონერს და დიქტოფონს...

ვინ იცის, იქნებ მომავალში ლიუკ ბესონის „მე-5 ელემენტის“ მსგავსად, დასაცვენლად რომელიმე ახლო მდებარე პლანეტაზე, ჩვენივე საპაეო მანქანებით წავიდეთ?

უელსელები ლოზანაში იქაზან სამართალს



ტიტოვის საქმე ჭერაც სიდავოა

პაატა თოთაძე

ეს მიზოფრენიაა და მეტი არაფერი, - ასე შეაფასეს რუსმა საფეხბურთო ჩინოსნებმა უელსის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება, საერთაშორისო ოლიმპიურ სასამართლოში შეეტანათ სარჩელი რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ.

ყველაფერი სამი თვის წინათ დაიწყო, როცა გაირკვა, რომ რუსეთის ნაკრების ფეხბურთელი ეგორ ტიტოვი დოპინგის ხმარებაში აშხილეს უელსის ნაკრების წინააღმდეგ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პლეი-ოფის პირველი მატჩის შემდეგ. ვითარება უფრო მეტად დაიძაბა მას შემდეგ, რაც ტიტოვმა განმეორებით მატჩშიც მიიღო მონაწილეობა. რუსეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სწორედ განმეორებითი მატჩის მოგების შემდეგ გავიდა. იმ დღიდან მოყოლებული, უელსელები რუსეთის ნაკრების დისკვალიფიკაციას და ევროპის ჩემპიონატზე მათ მაგივრად თამაშს ითხოვენ.

ფეხბურთის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, როცა რომელიმე კონკრეტული ფეხბურთელის მიერ დოპინგის მოხმარებისთვის მთელი გუნდი დასჯილიყო. უელსელთა პირველი სარჩელი 18 თებერვალს უარყო უეფას დისციპლინარულმა კომიტეტმა. ჩვენ საკადრისად დავსაჯეთ ფეხბურთელი. ტიტოვის უნესობისთვის მთელი გუნდის დასჯა ჩვენი მხრიდან სწორი არ იქნება, - ნათქვამი იყო უეფას მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ზუნებრივია, ბრიტანელებმა ეს არ იკმარეს და მარტში უეფას გადაწყვეტილება გააპროტესტეს, თუმცა, არც სააპელაციო კომიტეტს შეუცვლია უეფას გადაწყვეტილება.

ჩვენ სხვა გზა არ გვრჩება, გარდა იმისა, რომ ოლიმპიურ სასამართლოში ვიჩივლო. ვერ გამოვია, რატომ არ უნდა დაისაჯოს რუსეთის ნაკრები. ხომ შეიძლება, ტიტოვს მეორე მატჩიც დოპინგის ზემოქმედების ქვეშ ჩატარებინა? - განაცხადა უელსის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა. როგორც ირკვევა, უელსელებს

არა აქვთ არანაირი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ტიტოვმა მეორე მატჩიც დოპინგის მოქმედებით ითამაშა. მას ანალიზი აუღეს პირველი მატჩის შემდეგ, განმეორებითი შეხვედრის შემდეგ კი დოპინგ-კონტროლზე სხვა ფეხბურთელები წაიყვანეს. ისინი სრულიად სუფთები იყვნენ. უელსელებს ასევე არა აქვთ მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ამ საქმეში რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის ჩინოსნები არიან გარეუღნი. ფაქტია, პირველი მატჩის შემდეგ ვილცამ დამალა ტიტოვის აშხავი, მაგრამ ვინ იყო ის ვილც, ამას ვერავენ ამბობს.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს სალიზინგო ბაზრის სიდიდის შეფასების მცდელობისას გაკეთდა დაშვება, რომ სალიზინგო ოპერაციებზე 2004 წლის განმავლობაში შეიძლება ძირითად საშუალებებში პოტენციური კაპიტალური ინვესტიციების ოთხი პროცენტი მიმართულიყოს. ამ ვარაუდის გათვალისწინებით, საქართველოში ლიზინგზე პოტენციური მოთხოვნა 2004 წლისათვის 15.3 მილიონ დოლარს უტოლდება. ეს კი იმაზე მოუთითებს, რომ არსებობს რეალური მოთხოვნა, რაც ლიზინგით დაინტერესებული ინვესტირებისა და ბიზნესმენებისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

ასევე, გათვალისწინეს ლიზინგზე არსებული მოთხოვნის გამოანგარიშების ალტერნატიული არაბიზარდაბირი მეთოდები: მთლიანი შიდა პროდუქტიდან, რომლის მიხედვითაც, ლიზინგზე მოთხოვნამ შეადგინა 20.4 მილიონი დოლარი; ძირითადი საშუალებების იმპორტის ნილის მიხედვით კი, ლიზინგზე მოთხოვნა 22.6 მილიონ დოლარს გაუტოლდა.

ლიზინგი როგორც საბანკო სესხის ალტერნატიული ფორმა

ლიზინგი საბანკო სესხის ალტერნატიულ ფორმად მიიჩნევა. აქედან გამომდინარე, საინტერესოა სანარმოთა დამოკიდებულება საბანკო სექტორისადმი. ლიზინგი, ერთი მხრივ, შვავს საბანკო კრედიტს, თუმცა მისი პროცედურა შედარებით მარტივია. ლიზინგით დანადგარის გამოტანისას მენარმე არ ეხარჯება დრო დანადგარის ყიდვაზე, ტრანსპორტირებასა და განაგებაზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სალიზინგო ოპერაციის დროს თავად დანადგარი წარმოადგენს გირაოს - ე.ი. ლიზინგი არ საჭიროებს დამატებით უზრუნველყოფას. ფინანსირების ამ ორი საშუალების შედარებისას მეტად მნიშვნელოვანია პოტენციური კლიენტების, ამ შემთხვევაში, სანარმოების დამოკიდებულება თითოეული მათგანის მიმართ.

კვლევის ფარგლებში გამოითხულია რესონდენტებმა შეაფასეს საბანკო სექტორისადმი მათი დამოკიდებულება. აღსანიშნავია ისიც, რომ რაც უფრო მსხვილია კომპანია, მით უფრო დადებითი განწყობა აქვს მას საბანკო სექტორის მიმართ. როგორც ჩანს, საქართველოში, სხვა ქვეყნებში გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად, მსხვილ ბიზნესს უფრო მჭიდრო კონტაქტი აქვს ფინანსურ ინსტიტუტებთან და, შესაბამისად, სარგებლობს კრედიტის მიღების უფრო მაღალი ალბათობით. მცირე კომპანიების მიერ საბანკო სექტორის შეფასება დიდად არ განსხვავდება მსხვილი კომპანიების შეფასებისაგან. ჩვენს პირობებში, ეს მაჩვენებელი არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან, საბანკო სესხის გარდა, დაფინანსების სხვა უფრო ხელმისაწვდომი ალტერნატიული საშუალება არ არსებობდა და კომპანიები ინვესტირებისა და ბიზნესმენებისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

ამ მონაცემებმა საფინანსო ინსტიტუტიდან კრედიტის მიღების სირთულე ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელ მთავარ ფაქტორთა ოთხეულში მოახვედრეს. გამოკვლევა აჩვენებს, რომ გამოითხული კომპანიების მხოლოდ 21.1-მა პროცენტმა მიიღო კრედიტი ბანკიდან, მაშინ, როცა 8.6 პროცენტს

უარი ეთქვა სესხის გაცემაზე. დანარჩენმა 70.3 პროცენტმა განაცხადა, რომ არასოდეს მიუმართავს ბანკში დაფინანსებისათვის.

კრედიტის მოთხოვნისა და დაკმაყოფილების ტენდენცია კომპანიათა სიდიდის მიხედვით იცვლება. ანალიზი აჩვენებს, რომ სანარმოთა უმეტესობა, რომლებიც კრედიტს ითხოვენ, მსხვილი კომპანიებია. შემდეგ ადგილზეა საშუალო და ბოლოზე - მცირე სანარმოები. ქართული კომპანიების უმეტესობის თავშეკავება კრედიტის მოთხოვნაზე სერიოზული პრობლემაა.

სესხის მიღება ფინანსური ინსტიტუტიდან ძვირია და პროცედურა გართულებული – ასე თვლის ქართული სანარმოების ხელმძღვანელობის უმეტესობა.

საბანკო დანესებულების მეტად მცირე რაოდენობა თუ გამოყოფს გრძელვადიან დაფინანსებას - დეპოზიტების უმრავლესობა მოკლევადიანია. ამის გათვალისწინებით, სალიზინგო მომსახურება ქართული კომპანიებისათვის, რომლებიც ასე საჭიროებენ გარე დაფინანსებას, არსებობისა და წინსვლის გარანტს წარმოადგენს.

ვინ შეიძლება გახდეს ლიზინგის მომხმარებელი

მოთხოვნის მოცულობით მრენველობა მნიშვნელოვნად უსწრებს სხვა დარგებს და მის ნილად ძირითად საშუალებებზე არსებული მთლიანი 382.7 მილიონ დოლარის მოთხოვნის ნახევარზე მეტი მოდის. ყველაზე ნაკლები მოთხოვნა დაფიქსირებულია სასტუმროებისა და რესტორნების დარგში. ერთგვარად, გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობიდან ძირითად საშუალებებზე მოთხოვნამ ბოლოდან მეორე ადგილი დაიკავა, როცა სოფლის მეურნეობა საქართველოს 8.5-მილიარდიანი მთლიანი შიდა პროდუქტის 20 პროცენტს შეადგენს. ეს მიძლება აეხსნათ იმ გარემოებით, რომ ბევრი ქართული ფერმერული მეურნეობა მცირე ზომისაა და არ მოითხოვს მნიშვნელოვან დანადგარებს ან მოძველებული დანადგარები აკმაყოფილებს ფერმერული მეურნეობების მოთხოვნილებას ანდა ეს დანადგარები საერთო მფლობელობაშია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფერმერებს უჭირთ სესხის მიღება ბანკიდან, რადგან საბანკო სექტორის მიერ ეს დარგი, სხვა დარგებთან შედარებით,

უფრო მაღალ რისკთან არის ასოცირებული.

ძირითად საშუალებებზე მოთხოვნა არაპროპორციულად არის განაწილებული მცირე, საშუალო და მსხვილ კომპანიებს შორის. მსხვილი კომპანიების მხრიდან მოთხოვნა საერთო მოთხოვნის 71 პროცენტს შეადგენს და ისინი უფრო დაინტერესებულნი არიან ძირითად საშუალებებში ინვესტირებით, ვიდრე საშუალო (25 პროცენტი) და მცირე (სამი პროცენტი) კომპანიები - ანუ მსხვილი კომპანიების მხრიდან მოთხოვნა 15-ჯერ აღემატება მცირე კომპანიების, და ორ ნახევარჯერ საშუალო კომპანიების მოთხოვნას.

ერთი შეხედვით ტიპურ პარადოქსთან გვაქვს საქმე. სალიზინგო მომსახურება, მისი ეფექტურობის მიუხედავად, წელა მკვიდრდება სამამულო ბაზარზე. ძირითადი მოთხოვნა მოდის მსხვილი კომპანიების ხარჯზე. მაგრამ, ლიზინგის, როგორც მოქნილი საინვესტიციო ინსტრუმენტის, ფინანსური შესაძლებლობები უნდა განვიხილოთ ქვეყნის ეკონომიკური და სამართლებრივი ბაზის გათვალისწინებით.

მენარმეების უმეტესობა არ ფლობს საკმარის ცოდნას სალიზინგო შეთანხმების ფინანსურ მექანიზმსა და მის უპირატესობებზე, არ არსებობს სალიზინგო საქმიანობის შესახებ ნათელი და მარტივი საკანონმდებლო ბაზა და კეთილსასურველი ბიზნეს-გარემო.

ამიტომ ბიზნესის განვითარების პროექტი მიზნად ისახავს ამ ბარიერების აღმოფხვრას სამთავრობო სტრუქტურებთან ერთად მჭიდრო თანამშრომლობის გზით. ახლო მომავალში ნაგვარუდევია კერძო მენარმეებისათვის ტრენინგების ჩატარება სალიზინგო მომსახურების დეტალებზე.

ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები

კვლევის მიზანი გახლდათ არა მარტო ლიზინგის პოტენციური ბაზრის დადგენა, არამედ იმ წინააღმდეგობების გამოვლენაც, რომლებიც ქართულ სანარმოებს განვითარებას უშლის ხელს. ქართული კომპანიები არახელსაყრელ ბიზნეს-გარემოში აღიქვამენ ბიზნესის წარმატებული განვითარების შემაფერხებელ ძირითად ფაქტორად. მომდევნო ადგილზე დასახელდა არასამართლიანი კონკურენცია, მაღალი გადასახადები და საკრედიტო რესურსების/ინვესტიციების ნაკლებობა.

გამოკვლევა ჩატარდა "ვარდების რეგულაციიდან" ერთი თვის თავზე და, შესაბამისად, მენარმეების დამოკიდებულებაში მთავრობის მიმართ ოპტიმისტური განწყობაც აიასხა. თუ გათვთვალისწინებთ გამოკვლევის ჩატარების შემდეგ მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებს, რეალური საფუძველი არსებობს, ქართულმა ბიზნეს-საზოგადოებამ რენტაბელური საქმიანობის კონტურები განსაზღვროს. ამას ემატება საკანონმდებლო ცვლილებები, ინვესტიციების შემოღინებისათვის სასურველი გარემოს შექმნა და ბიზნესის განვითარების პროექტის საქმიანობა.

მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული ანალიზის მიხედვით, საქართველოს შეუძლია, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიოს მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში. 2008 წლისთვის შესაძლებელია, შეიქმნას ბევრად გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობა და იმედის მომცემი პერსპექტივები. ნაჯარუდევია, რომ, 2003 წელთან შედარებით, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი 25-30 პროცენტით უფრო მაღალი იქნება და მიიღწევა საერთო ფინანსური სტაბილურობის რეალური შესაძლებლობა. თანდათინებით ადგება ნდობა მთავრობისა და სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ. მოსალოდნელია მართლმსაჯულებისადმი ნდობის განმტკიცება და პარლამენტის ეფექტური საქმიანობა, რაც, შესაბამისად, გაზრდის ბიზნესის რენტაბელობას.

ქვეყანაში კრიზისის დაძლევის და მდგრადი ეკონომიკის ფორმირებისათვის უმთავრეს პრიორიტეტად მიჩნეულია საბაზრო ეკონომიკა, ხოლო საბაზრო ეკონომიკა, პრაქტიკულად, წარმოდგენილია კერძო მენარმეობის გარეშე, კერძო მენარმეობა კი, თავის მხრივ - წარმოებითი მოღვაწეობის მაღალეფექტური ფორმების გარეშე, რომელიც უზუსტად ასახავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და წინსვლის დონეს. ამ თვალსაზრისით, ლიზინგი, როგორც სანარმოთა ფინანსირების ახალი პროდუქტი, დიდად წაადგება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეს.

ადვილად ხელშეისახები შედეგები

მუნიციპალური განვითარების ფონდი - საქართველოს რეგიონებისთვის

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) 1997 წელს “მუნიციპალური სექტორის განვითარების სახელმწიფო პროგრამის” შედეგად შეიქმნა. მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პირველი პროექტის ფარგლებში, ფონდმა მუნიციპალურ ინფრასტრუქტურაში 89 საინვესტიციო პროექტი განახორციელა. აღნიშნული საქმიანობის შედეგად მგფ-მ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყანაში მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებას. 1997-2002 წლებში საინვესტიციო პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში დახმარება გაეწია თერთმეტ მუნიციპალიტეტს (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, გორი, ზუგდიდი, ფოთი, ოზურგეთი, თელავი, ყაზბეგი, ამბროლაური). აღსანიშნავია, რომ, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გაწეულ მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდის შესაბამისად, იგი თავის საქმიანობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განავრცობს.

პროექტის ფარგლებში მიღწეული წარმატებების გამო, მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭომ 2002 წლის 1 აგვისტოს მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის მეორე პროექტის განხორციელების შეესახებ მიიღო გადაწყვეტილება და მისი განხორციელებისათვის მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო სააგენტომ დამატებით 19.41 მილიონი აშშ დოლარი გამოყო. მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის მეორე პროექტის ფარგლებში, მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2003-2006 წლებში ინვესტიციები და ტექნიკური დახმარება არანაკლებ ოც მუნიციპალიტეტში უნდა განახორციელოს.

ფონდის ძირითადი მიზანია, მოახდინოს რესურსების მობილიზება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, დონორი სააგენტოებიდან, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობებიდან. ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს მოზიდული თანხები ინფრასტრუქტურასა და მომსახურების სფეროში მათი ინვესტირებისათვის. ფონდი, აგრეთვე, ეხმარება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მართვის ოპტიმიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში საერთაშორისო გამოცდილების დანერგვაში. ფონდი წარმოადგენს სახსრების დამატებით წყაროს მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული პროექტების დასაფინანსებლად. მისი სტრუქტურა კარგად მიესადაგება ადგილობრივი თვითმმართველობების მოთხოვნილებებს, რომლებიც მართვის გამოცდილების ნაკლებობას განიცდიან და რომელთათვისაც ნაკლებად ხელმისაწვდომია საფინანსო ბაზრები.

პროექტის დაფინანსების პრინციპები

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმატებულმა საქმიანობამ განაპირობა ის ფაქტორი, რომ იგი დღეისათვის უკვე ძლიერ, თვითდაფინანსებად საწყისებზე მოქმედ ფინანსურ ინსტიტუტს – ბრუნვად ფონდს წარმოადგენს.

რაც შეეხება დაფინანსების პრინციპებს, მუნიციპალური განვითარების ფონდი აქ შემდეგი მექანიზმით ხელმძღვანელობს:

ა) ფონდი აფინანსებს სინვესტიციო პროექტის მთლიანი ღირებულების 80 პროცენტს, შემდეგი პირობების საფუძველზე: სესხი – პროექტის ღირებულების 40 პროცენტი; გრანტი – პროექტის ღირებულების 40 პროცენტი.

ბ) მონაწილე მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი სახსრებიდან განსახორციელებელი მინიმალური დაფინანსება: საინვესტიციო პროექტის მთლიანი ღირებულების 20 პროცენტი;

გ) გადახდის პირობები და საპროცენტო განაკვეთი: საინვესტიციო პროექტის მთლიანი ღირებულების 40 პროცენტი გადახდილი უნდა იქნეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში (არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს). გათვალისწინებულია, მაქსიმუმ, ერთნაირი შეღავათიანი პერიოდი. საპროცენტო თანხის დარეგულირება განისაზღვრება საინვესტიციო პროექტის მთლიანი ღირებულების 40 პროცენტის დაუფარავ ნაწილზე 15-პროცენტიათი წლიური განაკვეთით.

საინვესტიციო პროექტების დაფინანსების წყაროები

საინვესტიციო პროექტების 60 პროცენტი ფინანსდება მსოფ-

ლიო ბანკის კრედიტით; 20 პროცენტი - მუნიციპალური განვითარების ფონდის საკუთარი სახსრებიდან (ბრუნვადი ფონდი), 20 პროცენტი - შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, თანადაფინანსების სახით.

პროექტის შერჩევისას აქცენტი კეთდება ინვესტიციების განხორციელებაზე საქალაქო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებაში მყოფი მომსახურების მიწოდების სფეროში. კერძოდ:

ა) გზები, კანალიზაცია, განათება და ა.შ.

ბ) წყალმომარაგება, სანიტარული მომსახურება და მყარი ნარჩენების გატანა.

გ) შემოსავლის მომტანი დაწესებულებები (ბაზრები, ავტოსადგურები და ა.შ.).

დ) საკონსულტაციო მომსახურება, შესწავლა, ტრენინგები, პროექტის მომზადება და ა.შ.

რა გაკეთდა

გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები: საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული პროექტები, დაახლოებით, 900 000 კვადრატული მეტრი გზის საფარის (სიგრძით 36 000 მეტრი) აღდგენას ითვალისწინებდა. ამან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქალაქო გზების გაუმჯობესებაში ქვეყნის მასშტაბით. ფონდის მიერ განხორციელებული პროექტები ყოველდღიურად 150 ათასამდე ავტომობილს ემსახურება. მუნიციპალური განვითარების ფონდის საინვესტიციო პორტფელი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ 57 პროექტს მოიცავს, რომელთა საერთო ღირებულება 20,3 მილიონი ლარია.

შედეგად, დაზიანებული გზის საფარის აღდგენამ 20-25 პროცენტით გაზარდა გზის გამტარუნარიანობა, შეიქმნა უკეთესი ეკოლოგიური პირობები. კომუნიკაციების აღდგენამ განაპირობა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რამაც ხელი შეუწყო მიმდებარე ტერიტორიებზე სხვადასხვა სახის კერძო სანარმოს (მაღაზიების, ბენზინგასამართი სადგურების, რესტორნების) გახსნას. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი ბიუჯეტებისთვის ეს შემოსავლის დამატებით წყაროს წარმოადგენს. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ ადამიანების აზრი, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოებთან.

“ახალი ტრასით ძალიან კმაყოფილები ვართ. ძველი მანქანებია და გზაზე ძალიან ხტუნაობდა; ახლა რა უჭირს, ბედნიერებაა აქ მოძრაობა; ნეტა ყველგან ასეთი გზა იყოს”.

“კმაყოფილი ვარ ძალიან - სამი ქუჩა გაკეთდა... კარგი იქნება, თუ დანარჩენებიც გაკეთდება”.

“შეძლება არ არის - გაკეთდა ქუჩები; შეუძლებელი იყო მანქანებით სიარული; ძალიან კმაყოფილები ვართ, მაგრამ სხვა ქუჩებს არავინ აქცევს ყურადღებას”, - აცხადებენ მძღოლები.

“ჩემი ოჯახი ძალიან კმაყოფილია. ორი ბიჭი მყავს... ღმერთმა ქნას, საქართველოს ეშველოს, რომ ყველა ქუჩა ასე გაკეთდეს. ყველაფერი ისე რომ გაკეთდეს, როგორც აქ არის, უმაღლესი იქნება”.

“აქ, არა, მუხლამდე ტალახი იყო. მე სულ აქა ვზივარ, გზის პირზე და რომ მოვდიოდი ხოლმე წერეთლის 610-დან 99-მდე, ერთი სამჯერ წავიქცეოდი ხოლმე - ასფალტი იყო ანგრეული. ახლა აღარ მემინია”, - ამბობს ერთ-ერთი მოსახლე.

წყალმომარაგებისა და კანა-



გლდანის ერთ-ერთი ქუჩა რეაბილიტაციამდე და ...



...რეაბილიტაციის შემდეგ



ქსნის ქუჩა რეაბილიტაციამდე და ...



...რეაბილიტაციის შემდეგ

ლიზაციის სისტემების რეაბილიტაცია: საქართველოში დღეისათვის არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, წყალმომარაგების სისტემების სრულყოფა და სანიტარიული მომსახურების გაუმჯობესება მუნიციპალური განვითარების ფონდის საინვესტიციო გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განიხილება. ამ მიზნით, მუნიციპალური განვითარების ფონდის საინვესტიციო საქმიანობა მოიცავდა 19 პროექტს თბილისში, გორში, თელავში, რუსთავსა და ფოთში. სექტორის გაუმჯობესების მიზნით, 7,5 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა.

შედეგად, შემცირდა ავარიებისა და ცენტრალური მაგისტრალის დაზიანების შემთხვევები, ასევე - გზის საფარის დაზიანება გაფონების შედეგად. თვითმდენმა მილსადენებმა შეამცირა ელექტროენერგიის ხარჯები, შემცირდა წყლის დანაკარგები და არალეგალური მიერთებები მაგისტრალურ წყალსადენებზე; წყალმომარაგება გაუმჯობესდა, დაახლოებით, 20 000 ოჯახს

“გაკეთდა ძალიან დიდი საქმე - წყლის პროგრამა განხორციელდა ქალაქში. ამას ვერ ახერხებდა ქალაქი, დაახლოებით, 15-20 წელიწადს. ამას ისეთი დიდი თანხა სჭირდებოდა, რომ, ალბათ, ჩვენი ქალაქის ბიუჯეტის საშუალებით ვერ ხერხდებოდა”.

“ისეთი ცუდი მდგომარეობა იყო, მეორე სართულამდეც ვერ აღწევდა წყალი. ახლა წყალმა მოიმატა - მესუთე, მეექვსე სართულამდეც ამოდის. კმაყოფილები ვართ, რომ, მსოფლიო ბანკის დაფინანსების შემწეობით, მოხდა წყლის წნევის მომატება”.

“ხალხმა ამოისუნთქა; წარმოიდგინეთ, რა სამწინელებაა უწყლობა”, - ამბობს კმაყოფილი მოსახლეობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება - თითქმის, თორმეტი წლის განმავლობაში ქალაქ ფოთის მოსახლეობა სასმელ წყალს შორი მანძილიდან ეზიდებოდა და არ ჰქონდა წყლით ნორმალური მომარაგების პერსპექტივა. ფოთის წყალმომარაგების უფროსი აღნიშნავს, რომ სისტემა რომელიც ქალაქ წყლით ამარაგებდა, ჯერ კიდევ 1936-1939 წლებშია აგებული და ვერანაირად ვეღარ აკმაყოფილებდა ფოთის მოსახლეობას, თანაც მისი მეშვეობით გატარებული წყალი სასმელად ყოვლად გამოუსადეგარი იყო. მისივე თქმით, მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტმა დიდი მასშტაბისა და მნიშვნელობის სამუშაოები ჩაატარა - სრულფასოვანი რეაბილიტაცია გაუკეთდა 18 კილომეტრის სიგრძის მილსადენს, რის შედეგადაც ქალაქის 3 500 ოჯახს (12 250 ადამიანი) დღეისათვის ინდივიდუალური წყალგაყვანილობის სისტემა აქვს. მუნიციპალური განვითარების ფონდმა, აგრეთვე, აღადგინა ნორისის ელექტროგაყვანილობის სისტემები და ააშენა სპეციალური დამცავი ნაგებობები, რომლებიც წყლის რეზერვუარების ირგვლივ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სანიტარული ნორმების დაცვას უზრუნველყოფს.

“ჩვენ აღარ გვანუხებს ყოველდღიურად იმაზე ფიქრი, თუ საიდან და როგორ მოვიტანოთ წყალი. ეს ხომ ადამიანის ელემენტარული მოთხოვნილებაა, რომლის დაკმაყოფილებაც მსოფლიო ბანკისა და მისი მხარდაჭერით მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული პროექტის მეშვეობით გახდა შესაძლებელი”, - აღნიშნავს ფოთის მოსახლეობა.

საზოგადოებრივი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია: მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა საზოგადოებრივი დაწესებულებების რეაბილიტაციის რამდენიმე პროექტი. თბილისში 51 საშუალო სკოლაში, სადაც, საშუალოდ, 60 000 მოსწავლე სწავლობს, დამონტაჟდა გათბობის სისტემები; ამბროლაურში აშენდა პირველი საშუალო სკოლა; სკოლა აღიჭურვა სასკოლო, სასწავლო ინვენტარითა და ავეჯით; ამბროლაურშივე რეკონსტრუირებულ იქნა კულტურის სახლი; ჩატარდა თბილისის ტრავმატოლოგიურ-ორთოპედული კლინიკის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გადაიხურა ოზურგე-

C2 გვარდიანე

თის საავადმყოფო; მოხდა ყაზბე-გის რაიონული საავადმყოფოს რეკონსტრუქცია.

“რამდენიმე სკოლა შეარჩი-ეს და, მათ შორის - ჩვენიც. ძა-ლიან ბედნიერები ვართ, რომ როგორც იქნა, გავვატბეს. ბავ-შვებს აღარ აცვიათ ქურთუკები და ქუდებით აღარ სხედან საკ-ლასო ოთახებში. ხელები აღარ აქეთ გაყინული და აღარ უსკ-დებათ გული წერითი საშუაოს შესრულების დროს. ადრე რომ ვიტყოდი, - აბა, ბავშვებო, ამო-ილეთ რვეულები, - მაშინვე ის-მოდა უკმაყოფილო ხმები. ახ-ლა ჩვეულებრივად ასრულებენ იგივე დავალებას”, - ამბობს რუსულის მასწავლებელი ლალი კლანდარიშვილი.

“40 წელია, რაც აქ ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში ეს საკი-თხი სულ იდგა დღის წესრიგში, მაგრამ თავი ვერავინ მოაბა. ამ პირობებში ავადმყოფების მომ-სახურება უფრო ადვილია და უფრო კვალიფიციური”, - ეს ექ-იმის შეფასება გახლავთ.

“ყაზბეგის რაიონში რაც აშ-ენდა, მათ შორის, ჩვენი საავად-მყოფო ყველაზე ლამაზი, გრან-დიორიუმი შენობაა. დღეს მთე-ლი რაიონი ძალიან მადლიერია ამ საავადმყოფოს აშენებით. დიდი საქმე გაკეთდა ყაზბეგის რაიონისთვის”.

“ყველა კმაყოფილია. აქამდე საავადმყოფო არ იყო; ვლადი-კავკაზში ან თბილისში გადასე-ლა ჭირდა. ახლა უკვე ავადმო-ფი ადგილობრივ საავადმოფო-ფოში მიდის. ეს, რა თქმა უნდა, მუნიციპალური განვითარების პროგრამის დამსახურებაა”, - კმაყოფილებას გამოთქვამს მო-სახლეობა.

“საავადმყოფოში ჩამოდიო-

და წყალი, რის გამოც, ჯერ მთლიანად გაპარტახდა მეხუთე სართული, შემდეგ მეოთხე და მესამე სართულებიც მიემატა. ამყამად ყველაფერი წესრიგ-შია. მუნიციპალური განვითა-რების ფონდმა გადაგვარჩინა”, - აღნიშნავს ოზურგეთის რაიო-ნული საავადმყოფოს ექიმი-თე-რაპევტი მარინა მუჟავია.

“მოსახლეობაც და პირადად მეც ვთვლით, რომ მუნიციპა-ლური განვითარების ფონდმა გადადგა დიდი სახელმწიფოებ-რივი ნაბიჯი - ყაზბეგის რაიონ-ში განხორციელდა ადგილობ-რივი მოსახლეობისათვის სასი-ცოცხლო მნიშვნელობის ობიე-ქტის - საავადმყოფოს მშენებ-ლობა. ეს დიდ იმედს აძლევს ყა-ზბეგის მკვიდრებს, ასევე ექი-მებს, რომელთაც უაღრესად რთულ მდგომარეობაში უწევდ-ათ მუშაობა, ახლა კი საშუალე-ბა მიეცათ, სრულფასოვნად შე-ასრულონ თავიანთი პროფესი-ული ვალი”, - ამბობს ყაზბეგის რაიონული საავადმყოფოს მთა-ვარი ექიმი შალვა ღუდუშაური.

ბავშვების შეფასება უფრო მარტივია და ალალი - “დღეიკო-სა და მამიკოს უხარიათ, თბილ-ად რომ ვართ.

საქალაქო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა: საქალაქო სატრანსპორტო ინფრასტრუქ-ტურის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა თბილისში ელექტრო-ტრანსპორტის გაუმჯობესების პროექტი. იგი ქალაქში მეტროს უსაფრთხო და მეუფერხებელ ფუნქციონირებას დაეხმარება. მეტრო წელიწადში 110 მილიონ მგზავს ემსახურება. საქალაქო სატრანსპორტო ინფრასტრუქ-ტურაში განხორციელებული ინ-ვესტიციების მოცულობამ 1,5 მი-ლიონი ლარი შეადგინა.



ყაზბეგის განახლებული საავადმყოფო დღეს სრულფასოვნად მუშაობს

აქ მორიგე პერსონალი იჯდა, ახლა არავინ ზის. მას შემდეგ, რაც სისტემა საცდელ ექსპლუა-ტაციაში შევიდა, მართვა აშკარ-ად დაიხვეწა. დისპეტჩერი მორი-გის შეცდომას გამოირცხავს იმ-დენად, რამდენადაც თვითონ აკ-ონტროლებს მთლიანად სისტემ-ას; თანაც ყველა მონაცემი ფიქ-სირდება და არქივში ინახება”, - ამბობს მეტროპოლიტენის ელექ-ტრომომარაგების სამსახურის უფროსის მოადგილე თენგიზ დო-ლიძე.

თბილისის საცხოვრებელი სახლების ლიფტების კაპიტა-ლური შეკეთება: თბილისის 89

მაღალსართულიანი სახლის ლიფტს ჩაუტარდა კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, რის შე-დეგადაც ექსპლუატაციაში შევი-და 109 ლიფტი, რომლებიც ემსა-ხურებიან დედაქალაქის 12 396 მოქალაქეს

დასუფთავება და სანიტარი-ული მომსახურება: ქალაქ ბა-თუმში ამ მიმართულების ორი პროექტი განხორციელდა. შავი ზღვის დაბინძურების პრობლემ-ის გადასაჭრელად აჭარაში, მდი-ნარე ჭოროხზე 450-მეტრიანი ნა-გავსაყრელის დამცავი აშენდა; შექმნილია ათი ნაგავზბიდი. აღ-ნიშნული მიზნებისათვის გამოი-

22 აპრილი დედამინის დღეა!

შავი ზღვის სანაპიროს ბარამოს მდგომარეობა - მოქმედების აუცილებლობა

საქართველოს სანაპირო ზონა დიდი დაცი-რებას განიცდის. მისი განვითარებისთვის საჭიროა დიდი ინვესტი-ციები. შავი ზღვის ნაპირების გაყოფილებაზე გარემო, უმეტესწილად, ჭარბტენიანი ხასიათისაა, ხოლო ჩრდილოეთით და სამხრეთით სანაპირო დაბლობებს დამრეცი კლიმატი და მთები ენაცვლება. სანაპიროს ძირითადი პაბიტატები მიმდებარე საზღვაო თევზსარეწებით, ნაპირების გასწვრივ ბარიერული დიუნებით, ტორფიანი ჭაობების მძლავრი ფენებით, დელტებით მდინარეთა შესართავებში, ჭარბტენიანი ტყეებით, ერთი სიტყვით, ლანდშაფტების და ბიოლოგიური მრავალფეროვნების მაღალი დონით ხასიათდება.

შავი ზღვის გარემოს მდგომა-რეობა, დიდი ხანია, შეუფოთების საგანს წარმოადგენს. ადამიანის საქმიანობა მზარდ ზეწოლას ახ-დენს სანაპირო ზონის ეკოსის-ტემებზე, ხოლო დაუფეგმავმა გა-ნვითარებამ, გადამტეტებულმა თევზჭერამ და დაბინძურებული ნარჩენების ზღვაში უკონტრო-ლო განთავსებამ ძლიერად დაა-ზიანა საზღვაო რესურსები. ბუ-ნებრივი სიმდიდრის განკარგვა ფრაგმენტულ ხასიათს ახარებს, შედეგი კი სავეალალო - ზღვის დაბინძურება, სანაპირო ზონის პროდუქტიული ეკოსისტემების არამდგრადი ექსპლუატაცია და კარგვა. სანაპიროს ქალაქების და დასახლებული პუნქტების სა-კანალიზაციო გამწმენდი ნაგე-ობები, პრაქტიკულად, არ ფუქ-ციონირებს (ბათუმი, ფოთი, ოზ-ურგეთი-ურეკი-ქობულეთი) და გაუმწმენდავი ჩამდინარე წყლები ზღვის დაბინძურებას იწვევს. ამ-გვარი მდგომარეობა უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას, უარყოფითად მოქმედებს ტურიზმისა და სხვა დარგების პერსპექტივაზე.

ნარმოების მასშტაბების მნი-შვნელოვანი შემცირების მიუხე-დავად, გარემოს დეგრადაციის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმო-ადგენს ხმელეთზე განლაგებუ-ლი, აგრეთვე, საზღვაო წყაროე-ბიდან ზღვისა და სანაპირო ზონ-ის ნავთობპროდუქტებით და სხვა მავნე ნივთიერებებით გა-ჭუჭყიანება, ენერგომატარებლე-ბის ტრანსპორტირებისას ზღვი-სა და ხმელეთის დაბინძურების რისკის ზრდა. არადა, საქართვე-ლოს პორტების თუ შესაბამისი სამსახურების აღჭურვილობის და მზადყოფნის დონე არ აკმა-ყოფილებს თანამედროვე მო-თხოვნებს.

არსებული ვითარების ფონ-ზე, შავი ზღვის პროდუქტიული რესურსული ბაზის განადგურება პოტენციური საფრთხის ქვეშ აყ-ენებს საქართველოს ეკონომი-კური განვითარების პერსპექტი-ვას და მოითხოვს საქართველოს შავიზღვისპირეთის მრავალფე-როვანი რესურსების შენარჩუნე-ბისა და გამოყენების სტრატეგი-ულ დაგეგმვასა და მართვას.

საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი შავიზღვისპირეთის პრობლემების და შესაძლებლობების გამოვლენისათვის

რამებთან, “დაბლასის” ინიცია-ტივის სახელწოდებითაა ცნობი-ლი. აღნიშნული საერთაშორისო ვალდებულებების განხორციე-ლების ხელშესაწყობად საქართ-ველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო-ს მიერ წამოწყებულ იქნა საქა-რთველოს სანაპიროს ინტეგრი-რებული მართვის პროექტი.

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სახელმწიფო საკონსულტაციო კომისია

კომისია ჯერ კიდევ 1998 წლის 25 ოქტომბერს შეიქმნა. იგი 25 წევრს აერთიანებს და შედგე-ბა ეროვნული და ადგილობრივი სახელმწიფო უწყებების, აგრეთ-ვე, პარლამენტისა და არასამთა-ვრობო ორგანიზაციების წარმო-მადგენლებისაგან. იგი ბუქარეს-ტის კონვენციისა და “შავი ზღვის რაბილიტაციისა და დაცვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმ-ის” მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბდა და მისი მიზანია, შემუშაოს წინადადებები და რე-კომენდაციები საქართველოში სანაპირო ზონის ინტეგრირებუ-

ლი მართვის სამართლებრივი და ინსტიტუციური მართვის შესახ-ებ. დღემდე ჩატარებულია კომი-სიის ექვსი შეხვედრა და აღსანი-შნავია, რომ 1998 წლიდან არ ყო-ფილა შავი ზღვის სანაპიროს გა-ნვითარებასთან დაკავშირებუ-ლი, თითქმის, არც ერთი მნიშვნე-ლოვანი თემა, რომელიც, შესაბა-მისი რეკომენდაციების თანხლე-ბით, კომისიის შეხვედრებზე არ განხილულა. ამ თვალსაზრისით, კომისიის სხდომის ოქმები, რომ-ლებიც ხელმისაწვდომია წების-მიერი დაინტერესებული პირისა-თვის კომისიის სამდივნოში, დღეისათვის სანაპიროს განვი-თარების ერთგვარ ისტორიასაც წარმოადგენს.

საერთაშორისო გამოცდილება

სანაპირო ზონის ინტეგრირე-ბული მართვის პრინციპები, რო-მლებიც თავდაპირველად ამერი-კის შეერთებულ შტატებში დამუ-შავდა, ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მრავალ საზღვაო ქვეყანაში. მათი დანერგვა ოფი-ციალურად არის რეკომენდებუ-ლი ევროგაერთიანების ქვეყნებ-ში, ხოლო რეგიონული შავი ზღვის გარემოსდაცვითი პროგ-

რამის ფარგლებში ინერგება შავი ზღვის სანაპიროზეც. რაც შეეხე-ბა საქართველოს, საუკეთესო მსოფლიო გამოცდილების გაზი-არება და დანერგვა ქვეყანას სა-შუალებას მისცემს, გააძლიეროს ძალისხმევა შავი ზღვის გარემო-სდაცვითი პრობლემების გადა-წყვეტის საქმეში და, გარკვეულ-წილად, დაარეგულიროს მმართ-ველობის ადგილობრივი ორგა-ნიზაციისა და ცენტრალური ხელი-სუფლების კომპეტენციების გა-მიჯნვის საკითხი სანაპირო ზონ-ის მართვის საკითხებთან მიმარ-თებაში.

პროექტის წარმოქმნის წინაპირობები

საქართველოს სანაპიროს ინ-ტეგრირებული მართვის პროექ-ტი, რომელსაც საქართველოს მთავრობა მსოფლიო ბანკის, გლობალური გარემოსდაცვის ფონდის ფინანსური მხარდაჭერ-ით, ჰოლანდიის მთავრობის პა-რალელური დაფინანსებით ახო-რციელებს, შავი ზღვის გარემოს-დაცვითი პროგრამის ინიციატივე-ებს ეყრდნობა. მისი მთავარი და ძირითადი მიზანია საქართვე-ლოში შავი ზღვის სანაპიროს რე-სურსების მართვის შესაძლებ-ლობების ორგანიზაციულად გა-ძლიერება, სანაპიროზე მიმდინა-რე ეკონომიკურ საქმიანობებში გარემოსდაცვითი დავალებისა და მართვის ეფექტურად ინტეგ-რირების მეთოდების შემუშავე-

ყო 1,1-მილიონლარიანი ინვეს-ტიცია. გარე განათების სისტემ-ის რეაბილიტაცია: ამ მომსახუ-რების გაუმჯობესების მიზნით, ფონდმა ორი პროექტი განახო-რიცია, რომელთა ინვესტიციებ-ის მოცულობამაც 797 ათასი ლა-რი შეადგინა. შედეგად, გაუმჯო-ბესდა განათების ხარისხი; ეკო-ნომიური სანათების საშუალებ-ით, ექსპლუატაციის ხარჯები შე-მცირდა წელიწადში 280 500 ლა-რის ოდენობით; გაიზარდა საგ-ზაო მოძრაობისა და მოქალაქე-თა უსაფრთხოება.

რაც შეეხება შედეგების შეფა-სებას, თუნდაც BBC-ის მონიტო-რინგის სამსახურის მიერ განხო-რციელებული შეფასებების მიხე-დვით თუ ვიმსჯელებთ, - “მსოფ-ლიო ბანკის მიერ დაფინანსე-ბული მუნიციპალური განვითა-რებისა და დეცენტრალიზაციის პროექტი უაღრესად მნიშვნე-ლოვანია ადგილობრივი თვითმ-მართველობის სისტემის შემდ-გოში რეფორმაციისათვის. პროექტმა, რომლისთვისაც სა-ქართველოს სხვადასხვა რეგი-ონში შეირჩა თორმეტი ქალაქი (მათ შორის - თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, თელავი და სხვა), საგ-რძნობი სასიკეთო ცვლილებები განახორციელა ისეთ დარგებში, როგორცაა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, გზების ხა-რისხი, წყალმომარაგება”.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ სწორედ აღნიშნული შედეგები და შესრულებული მასშტაბური სამუშაოები (ამას ემატება მსოფ-ლიო ბანკის მიერ პროექტების მსვლელობისას განხორციელე-ბული არაერთი მონიტორინგის მონაცემები) იქცა სამომავლოდ მსოფლიო ბანკის მხრიდან აღნი-შნულ სფეროში სხვა პროექტებ-ის დაფინანსების წინაპირობად.

ბა, გამოცდა და შეფასება.

ჩამოყალიბდა ხუთი კომპონე-ნტი, რომელიც პროექტის საქმი-ანობებს მოიცავს:

სანაპირო ზონის ინტეგრირე-ბული მართვის ინსტიტუციური გაძლიერება;

კოლხეთის დაცული ტერიტო-რიების ჩამოყალიბება;

სანაპიროს მონიტორინგისა და ინფორმაციული სისტემის გა-ნვითარება;

ნაპირების ეროზიის პრობლე-მების შეფასება ბათუმსა და ფო-თში;

ზღვაში ნავთობის ავარიულ დაღვრაზე რეაგირების ეროვნუ-ლი გეგმის შემუშავება.

სანაპირო ზონის ინტეგრი-რებული მართვის ცენტრი - სა-ქართველოს სანაპიროს ინტეგ-რირებული მართვის პროექტის განმახორციელებელი ორგანი-ზაცია 1999 წელს შეიქმნა სანა-პირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი (ს.ზ.ი.მ. ცენტრ-რი), რომელსაც დაეველა საქარ-თველოს სანაპიროს ინტეგრირე-ბული მართვის პროექტის განხო-რციელება, მისი კოორდინაცია, მართვა და დასახული მიზნების მიღწევა. ამოცანებს, რომელთა განხორციელებასაც პროექტი მიზნად ისახავს, გადაუჭარბებლ-ად შეიძლება ითქვას, რომ საქარ-თველოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ეს მიზეზებია:

საქართველოს შავი ზღვის სა-ნაპიროზე მართვის ინტეგრირე-ბული მეთოდების დანერგვასა და მართვებუ პასუხისმგებელი უწყებების საინსტიტუციო გან-ვითარების ხელშეწყობა;

კოლხეთის დაცული ტერიტო-რიების მდგრადი განვითარები-ისათვის, მართვისა და ბიოლოგი-ური მრავალფეროვნების შენარ-ჩუნებისათვის პასუხისმგებელი უწყებების მხარდაჭერა და მათი საინსტიტუციო განვითარების ხელშეწყობა;

საქართველოს სანაპიროს გა-რემოს მონიტორინგის სისტემის გაძლიერება, სანაპიროს გარემო-სდაცვისა და მდგრადი მართ-ვისათვის საჭირო თანამედროვე ინფორმაციული სისტემის დანერ-გვა.

სანაპირო ზონის ინტეგრი-რებული მართვის ინსტიტუ-ციური შესაძლებლობების განვითარება. პროექტის ეს კომპონენტი ეხმარება ყველა და-ინტერესებულ მხარეს სანაპირ-ოს რესურსების შესახებ გადაწყ-ვეტილებების მიღებასა და პო-ლიტიკის მიმართულებების ფო-რმულირების პროცესში. აღსანი-



პროექტის საჩუქარი სოფელ პატარა ფოთის მოსწავლეებისათვის

C3 ბაჰარდიხა

შნავია, რომ ბრიტანულმა საკონსულტაციო კომპანია "ჰალკროუმ", რომელიც საქართველოში სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის განვითარების კომპონენტის განსახორციელებლად შეირჩა, დამუშავა ანალიტიკური დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც, და ყველა პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოს უშუალო მონაწილეობით, შემუშავდა სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის იურიდიული და ინსტიტუციური გაძლიერების ხუთი სცენარი. სხვადასხვა სცენარის ანალიზის საფუძველზე, საქართველოს მთავრობას წარედგინა **"საქართველოში სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის კონცეფცია"**. ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რამდენდაც მასში შემოთავაზებული რეკომენდაციების საშუალებით შეიძლება განისაზღვროს შემდეგი საკითხები:

როგორი უნდა იყოს ოპტიმალური კანონმდებლობა საქართველოში სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პრინციპების დასაწერად;

რა პრინციპებით უნდა მოხდეს სანაპირო ზონის საზღვრების დადგენა;

როგორი უნდა იყოს სანაპიროს ზონის ინტეგრირებული მართვის ინსტიტუციური მოწყობა ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.

აღსანიშნავია, რომ ხსენებულმა რეკომენდაციებმა, გარკვეულწილად, უკვე გაუწია სამსახური საქართველოს ხელისუფლებას. სულ რამდენიმე დღის წინ მინისტრთა კაბინეტმა მიიღო მნიშვნელოვანი დადგენილება საქართველოს შავი ზღვისპირეთში მინათსარგებლობისა და სამშენებლო საქმიანობების მოწესრიგების ხელშეწყობი ღონისძიებების შესახებ, რომელიც სხვა გადაუდებელ ღონისძიებებთან ერთად ერთმნიშვნელოვნად ავალებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ინფრასტრუქტურის და განვითარების სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას განსახილველად წარუდგინოს კანონპროექტი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ზონის დაგეგმვისა და მართვის შესახებ. მსოფლიო ბანკის დაფინანსებით და მიმდინარე „საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის“ რეკომენდაციების გათვალისწინებით.

კოლხეთის ეროვნული პარკისა და ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის ჩამოყალიბება პროექტის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, რადგან ეროვნული პარკების შექმნა ბუნების კონსერვაციასთან ერთად ინფრასტრუქტურის განვითარებასაც გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, ეკოტურიზმის განვითარების საუკეთესო საშუალებაა, განსაკუთრებით, ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობით ისეთ მდიდარ მხარეში, როგორიცაა კოლხეთი. აქვე არ უნდა დავავიწყდეს, რომ ეკოტურიზმი ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემოსავლის ალტერნატიულ წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს.

კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია - კოლხეთის ეროვნული პარკი მოიცავს კოლხეთის დაბლობის ქარბტენიანი კომპლექსის იმ ნაწილს, რომელიც 1996 წელს გამოცხადდა რამსარის ტერიტორიად (საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ქარბტენიანი ტერიტორია). კოლხეთის ეროვნული პარკი წარმოადგენს ვრცელ, რამდენიმე ათეული ათასი ჰექტარი ფართობის მქონე საზღვაო და სახმელეთო ტერიტორიას, რომელიც მოიცავს ცენტრალური კოლხეთის ანაკლია-ჭურბას, ნაბდასა და იმნათის ქარბტენიან მასივებს და მდებარეობს მდინარე რიონის მიერ წარმოქმნილ დაბლობზე, მისი შესართავის მიდამოებში. ქობულეთის ნაკრძალი წარმოადგენს უფრო მოკრძალებულ, რამდენიმე ასეული ჰექტარის ფართობს, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის ნაპირიდან მცირე დაშორებით, ქალაქ ქობულეთის მახლობლად. მას, აგრეთვე, მინიჭებული აქვს რამსარის გლობალური სტატუსი და შეადგენს კოლხეთის ვრცელი ქარბტენიანი კომპლექსის ნაწილს. აღსანიშნავია, რომ ტორფნარი ეკოსისტემების ცნობილი მკვლევარების აღმოჩენით (გერმანიის გრაიფსვალდის უნივერსიტეტი) ქობულეთის (ისპანის) ეს მცირე ფართობის მქონე ჭაობზე უნიკალურია მთელ მსოფლიოში, რამეთუ ავსებს ტორფის ჭაობების კლასიფიკაციის არსებულ სისტემას და თავის უნიკალური ჰიდროლოგიური მახასიათებლებით ჯერჯერობით ერთადერთია მსოფლიოში აღმოჩენილია შორის.

ამ ორი დაცული ტერიტორიის



კოლხეთის ეროვნული პარკი - შეუდასებელი ეროვნული სიმდიდრე



არ არის ჭაობი - არ არის წყალი



კოლხეთის დაბლობი ბიოლოგიური მრავალფეროვნებით ხასიათდება

შემადგენლობაში შედის კოლხური ტყეებისა და ქარბტენიანი ტერიტორიების კომპლექსი, რომლებიც ხასიათდებიან ენდემიზმისა და ფლორის მრავალფეროვნების მაღალი დონით; ამავე დროს წარმოქმნიან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და საერთოის ქვეშ მყოფ ეკოსისტემას საქართველოში; რეგიონი კრიტიკულ პაბიტატს ქმნის მრავალი სხვადასხვა გადამფრენი და მოზამთრე სახეობის ფრინველისათვის.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდამდე მოსახლეობის დამოკიდებულება ქარბტენიანი ტერიტორიებისადმი ანუ ჭაობებისადმი არაკეთილგანწყობილი იყო და იგი ირონიულად მოიხსენიებოდა როგორც მხოლოდ კოლეებისა და მალარიის წყარო. რეალურად კი, ქარბტენიან ტერიტორიებს სასიცოცხლო მნიშვნელობა და მრავალი ფუნქცია აქვთ - მათი საშუალებით, ხდება წყლის ფილტრაცია და ბუნებრივი გაწმენდა, კლიმატის ცვლილებების შედეგების შერბილება, ბიომრავალფეროვნებისა და კულტურული ფასეულობების შენარჩუნება, დიუნების მეშვეობით იცავენ ზღვის ნაპირებს სტაბილიზაციისა და ზვირთცემისგან,

მიმზღველნი არიან ტურიზმისა და რეკრეაციისათვის, და ბოლოს, წარმოადგენენ უმდიდრეს ეკოსისტემებს განახლებადი ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით.

ქარბტენიანი ტერიტორიები დედამიწისათვის მტკნარი წყლების შენარჩუნების ერთ-ერთი პირობაა. ესპერტთა აზრით, 21-ე საუკუნეში დედამიწის მოსახლეობას მტკნარი წყლის დეფიციტის პრობლემა აუცილებლად დაუდგება. ამიტომ, არაა გასაკვირი მსოფლიო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება ქარბტენიანი ტერიტორიებისადმი.

კოლხეთი - აღმოჩენა საერთაშორისო საზოგადოებისათვის

კოლხეთის ქარბტენიანი ტერიტორია ბუნებრივ ეკოსისტემას წარმოადგენს და აკმაყოფილებს რამსარის კონვენციის საერთაშორისო სტატუსის მქონეობის პირობებს. ამიტომ, არაა გასაკვირი მსოფლიო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება ქარბტენიან ტერიტორიებისადმი.

კოლხეთის ქარბტენიანი ტერიტორია ბუნებრივი ან ბუნებრივთან მიახლოებულ ქარბტენიანი ეკოსისტემების წარმომადგენლობით, იშვიათ და უნიკალურ ნიმუშს; ემსახურება განსაკუთრებული

სახეობების, ეკოლოგიური დაფუძნების შენარჩუნებას (აქ ჯერ კიდევ შემორჩენილია მაღალი ბიომრავალფეროვნებით მარჩეული მკვიდრეობა) წარმოადგენს ადგილობრივი და გადამფრენი წყლის ფრინველთა საზღვარ, დასასვენებელ, დასაზამთრებელ ადგილს (კოლხეთის ჭაობები მიმდებარე ზღვის სანაპირო აკვაციორიასთან ერთად არის აფრიკა-ევრაზიის წყლისა და ჭაობის ფრინველების მიგრაციის უმნიშვნელოვანესი რეგიონი); წარმოადგენს მნიშვნელოვან საარსებო, სამიგრაციო და საქვერთე გარემოს თევზებისთვის (ამ ტერიტორიაზე გვხვდებოდა 80-ზე მეტი თევზის სახეობა. განსაკუთრებით, აღსანიშნავია ატლანტური ზუთხი, რომელსაც გადაშენების გლობალური საფრთხე ემუქრება, და, შესაძლოა, მსოფლიოში არსებული ბოლო პოპულაცია შემორჩენილია მხოლოდ მდინარე რიონში).

კანონით, "კოლხეთის დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებისა და მართვის შესახებ", რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ იქნა მიღებული, ჩამოყალიბდა და ფუნქციონირება და

იწყო კოლხეთის ეროვნული პარკისა და ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციებმა. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრის სრული რეაბილიტაცია თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით (მიმდინარეობს პროექტირების ტენდერი), მოხდება პარკის ინფრასტრუქტურის განვითარება, რაშიც პროექტის განმსახორციელებებს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული პარკების სამსახურიც დაეხმარება. ეს უდიდესი გამოცდილების მქონე უწყება ეროვნული პარკების პიონერია მთელ მსოფლიოში და უკანასკნელ წლებში ნაყოფიერად თანამშრომლობს და ეხმარება საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემას (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მხარდაჭერით, ჩვენ ქვეყანაში მიმდინარეობს "დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი").

არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს დაცული ტერიტორიების პროგრამის" მიერ მომზადებულია კოლხეთის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის პროექტი, რომელიც საცვებით აკმაყოფილებს მაღალ საერთაშორისო სტანდარტებს და ამჟამად წარდგენილია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, ყველა დანიტერესებულ უწყებასა და სამინისტროში განსახილველად, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე.

ქართული საკონსულტაციო კომპანია "გეოგრაფიკი" ახორციელებს, აგრეთვე, ეროვნული პარკის და ნაკრძალის საზღვრების დემარკაციის სამუშაოებს, რაც სამაგალითო სუბ-მეტრული სიზუსტით ხორციელდება დიგიტალური აეროფოტოების გამოყენებით. პროექტის ფარგლებში, მოხდება პარკის და ნაკრძალის საზღვრების სრული გამიჯვნა და სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა.

რაც შეეხება ქობულეთის სახემწიფო ნაკრძალს, ამჟამად პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ტენდერი ქობულეთის ეროვნული ნაკრძალის ადმინისტრაციის და ვიზიტორთა ცენტრის შენობის მშენებლობაზე (გამარჯებული უახლოეს დღეებში გამოვლინდება და შეუდგება სამუშაოების შესრულებას).

იაპონიის სოციალური განვითარების ფონდის გრანტი.

კოლხეთის ეროვნული პარკის, უშუალოდ, მიმდებარე ბუფერულ ზონაში მცხოვრები მოსახლისათვის ეროვნული პარკის ჩამოყალიბება ინვესტ გარკვეული შეზღუდვებს ბუნებრივი რესურსებით უკონტროლოდ სარგებლობას. ეს შეზღუდვები დღეს, პრაქტიკულად, მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა. საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკის და, აგრეთვე, სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრის მხარდაჭერით, მოზიდულია იაპონიის სოციალური განვითარების ფონდის გრანტი. სახსრები, უაშუალოდ, მოხმარდება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას - კონკურენტული მცირე გრანტები გაიცემა ადგილობრივ სათემო ორგანიზაციებზე.

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი გრანტი უკვე ხელმოწერილია მსოფლიო ბანკის მიერ, უახლოეს დღეებში მოხდება ხელმოწერა საქართველოს მთავრობის მხრიდანაც.

პროექტის კიდევ ერთი კომპონენტი, **ზღვისა და სანაპირო ზონის მონიტორინგისა და ინფორმაციული სისტემის ჩამოყალიბება**, პრიორიტეტულად რჩება და შეიძლება - უფრო მეტადაც, ვიდრე თავდაპირველად იყო მიჩნეული, რადგან, სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი საშუალებას მისცემს საქართველოს უზრუნველყოს ანგარიშგება გარემოს მდგომარეობის შესახებ შავი ზღვის კომისიისადმი (შავი ზღვის ბუქარესტის კონვენციის აღმასრულებელი ორგანო) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ. ეს კი დადგმარება საზღვაო ქვეყანას, შეასრულოს თავისი ვალდებულებები საერთაშორისო და შიდაეროვნულ დონეზე.

ზღვისა და სანაპიროს მონიტორინგის და ინფორმაციული სისტემის პროექტრებას წარმარება

თავს ბრიტანული საკონსულტაციო ფირმა "სეფასი". ამ კომპონენტის ფარგლებში, ფოთისა და ბათუმის სანიტარული ზედამხედველობის ლაბორატორიების, ბათუმის ზღვის, ეკოლოგიისა და თევზის მეურნეობის ინსტიტუტის მონაწილეობით, განისაზღვრება სამომავლო ქმედებები, რაც უზრუნველყოფს გარემოს მდგომარეობის ამსახველი მონაცემების გენერირებას, მიღებას, დამუშავებას და ანგარიშგებას.

მონიტორინგისა და ინფორმაციული სისტემის შესყიდვების განხორციელების ფარგლებში, ამჟამად მიმდინარეობს სანაპიროს ინფორმაციული სისტემის პროგრამული უზრუნველყოფისა და კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისათვის, როგორც ადგილობრივ, აგრეთვე - ცენტრალურ დონეზე. მიმდინარეობს ფოთისა და ბათუმის ლაბორატორიების პროექტირება; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, განხორციელდება მათი რეაბილიტაცია. რაც მთავარია, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების მიხედვით, ყველა მოპოვებული მონაცემი და დამუშავებული ინფორმაცია ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისათვის, რომელსაც აქვს უფლება, იცოდეს, როგორია იმ გარემოს მდგომარეობა, სადაც ისვენებს და ჯანმრთელობას იუმჯობესებს.

უკვე დასრულდა **მუნიციპალური წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის გამოკვლევა** - კომპონენტი, რომელსაც, ნიდერლანდების მთავრობის დაფინანსებით, ამ ქვეყნის სპეციალისტებით დაკომპლექტებული კონსორციუმი ახორციელებდა კომპანია "არკადისის" ხელმძღვანელობით. კვლევაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქართული სპეციალისტებიც. შედეგად, შეიქმნა ვრცელი და დეტალური მოხსენება, რომელშიც საუკეთესოდა დოკუმენტირებული ნაპირების ეროზიის (ფოთი და ბათუმი) და მუნიციპალური (ფოთი) პრობლემები. უნდა აღინიშნოს, რომ სამაგალითო იყო ფოთის ნაპირების კომპიუტერული მოდელირების კვლევა, რომელიც ჰოლანდიელი სპეციალისტების დახმარებით შესრულდა და რომლის პრაქტიკული გამოცდილება ჩვენთან არ არსებობდა.

კიდევ ერთი კომპონენტი, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, რომ საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა, **ზღვაში ნავთობის ავარიულ დაღვრაზე რეაგირების ეროვნული გეგმის შემუშავება**. პროექტის ეს კომპონენტიც შესრულებულია. დაფინანსებას აქვს ნიდერლანდების მთავრობის გრანტი უზრუნველყოფდა. სამუშაოს ახორციელებდა კონსორციუმი, რომელსაც, ასევე, ცნობილი ჰოლანდიური საკონსულტაციო კომპანია "დიეიჩი-ვი" ხელმძღვანელობდა. მომზადდა ანალიტიკური მოხსენება, რომელსაც თან ერთვის ზღვაში ნავთობის ავარიულ დაღვრაზე რეაგირების ეროვნული გეგმის პროექტი საქართველოსათვის.

ეროვნული გეგმის შემუშავების ფარგლებში, ჰოლანდიელი კონსულტანტების ინიციატივით და მეთოდოლოგიური მხარდაჭერით, ასევე, საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციის, ზღვაზე მამველი საკონსულტაციო კომპანია "დირის და ნავთობის ავარიული დაღვრის ლიკვიდაციის სამმართველოს, შავი ზღვის კონვენციური ინსპექციის ძალეობით, 2001 წლის თებერვალში ბათუმის პორტის აკვატორიაში გაიმართა ზღვაში ნავთობის ავარიული დაღვრის ლიკვიდაციისათვის მზადყოფნის პრაქტიკული ვარჯიში. ძირითადი მიზანს წარმოადგენდა, შემოწმებულიყო საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციის განკარგულებაში არსებული აღჭურვილობის და საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა და პრაქტიკული მზადყოფნა სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის.

საქართველოს პასუხისმგებელ სახელმწიფო სამსახურებთან ერთად პრაქტიკულ ვარჯიშში საკუთარი ტექნიკური საშუალებებით და პირადი შემადგენლობით მონაწილეობდნენ საქართველოს მილსადენის კომპანია (ნავთობის დაღვრის ლიკვიდაციის პერსონალი და სახელმწირო გემი "თიანთიწი" ეკიპაჟითურთ), ნავთობკომპანია "შვერონი" და კომპანია "პრიცმარინიკ" ბათუმის პორტში განთავსებული სალიკვიდაციო საშუალებებითურთ.

საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით და სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრის ძალისხმევით, საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ დაფინანსებული "ეროვნული ტრანზიტის ინსტიტუტური განვითარების" პროექტში გათვალისწინებული იქნა ზღვაში და ხმელეთზე ნავთობის დაღვრაზე რეაგირების შემდგომი ტექნიკური დახმარების კომპონენტი. შემოსენებული იაპონიის მთავრობის გრანტის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტმა გარკვეული საფუძველი უკვე ჩაუყარა დამატებითი რესურსების მოზიდვებას ზღვისპირეთის პრიორიტეტული პრობლემების გადაჭრის უზრუნველყოფის მიმართულებით.